# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 31 ოქტომბერი 2003 №207 (1978) ფასი 50 თეთრი




# მერაბ ჟორდანიას „ჩემი არჩევანი“





## კასაბლანკა

### საქართველოს ნაკრების მაღრიბული ნატვრისთვალი

## ბაირამ თუთუმლუმ ანრი მიშელს და მის ცოლს გურჯების ქვეყანა და ნაკრები მოაწონა

ინტერვიუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნდობით აღჭურვილ აგენტთან იხილეთ მეორე გვერდზე



## ლევან ცაბაძე სორელს მიაწვა

„ბიჭებმა მაპატიონ, ყველანი ჩემი ძმები არიან, მაგრამ ავსტრალიაში საშინლად ითამაშეს. რომ ვუყურე, დასაბმელი გავხდი — ამბობს საქართველოს მორაგბეთა ნაკრების ყოფილი კაპიტანი ლევან ცაბაძე — ურუგვაის დამარცხება რეალურზე რეალური იყო... ნაკრებს არ ჰქონდა კონკრეტული გეგმა და ტაქტიკა.“

თავად ლეონსიო, მოგეხსენებათ, არ ყოფილა ავსტრალიაში, რის მიზეზადაც ტრავმა სახელდებოდა, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მსოფლიოს თასის წინ გამოჯანმრთელებულს სორელმა უარი უთხრა — არ მჭირდებიო.

ავსტრალიაში „ლელოებს“ აკლდათ ლეონსიოც და აკლდათ ორგანიზებულობაც. ფაქტია, საქართველოს ნაკრებმა ტურნირი ძალზე უფერულად ჩაამთავრა, რისი მთავარი მიზეზიც, ყოფილი კაპიტნის თქმით, სწორედ კლოდ სორელია. „რა თქმა უნდა, სორელი უნდა წავიდეს. მსოფლიოს თასზე უსახელო გამოსვლა ყველაზე ნაკლებადაა ბიჭების ბრალი. მათ ახლა კლოდზე გამოცდილი მწვრთნელი სჭირდებათ. ისევ უცხოელი, რადგან საქართველოში ნაკრების დონის მწვრთნელი არ მეგულება.“



# ბაირამის კვაჭობა
## თუთუმლუმ მადამ მიშელს საქართველო მოაწონა
### მერაბ ჟორდანია ანრი მიშელს გერმანიაში ან საფრანგეთში შეხვდება

*გუშინ ცნობილი თურქი საფეხბურთო აგენტი ბაირამ თუთუმლუ სამშობლოდან შორს აფრიკაში, მაროკოს დიდქალაქ კასაბლანკაში გახლდათ. თუთუმლუს თან ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საბუთი, თავისებური მინდობილობა, რითაც ბაირამს ჩვენი ფედერაციის სახელით ლაპარაკის უფლება აქვს. ეს ყველაფერი თუთუმლუს სახელგანთქმულ ფრანგ მწვრთნელ ანრი მიშელთან სასაუბროდ დასჭირდა. კვაჭ თურქ აგენტს წუხელ დავურეკეთ კასაბლანკაში*





**— შეხვდით თუ არა უკვე ანრი მიშელს?**

— ეს-ესაა, მისი სახლიდან გამოვედი. მოლაპარაკებამ ნორმალურად ჩაიარა, ყველაფერი კარგად მიდის.

**— ანუ მიშელი თანახმაა, გაწვრთნას საქართველოს ეროვნული ნაკრები?**

— ის ერთობ დაინტერესდა ჩვენი შეთავაზებით. მაგრამ აქ არცთუ მარტივადაა საქმე. წინ კიდევ შრომატევადი საქმე გველის, მაგრამ მიშელი ძალიან ძლიერი სპეციალისტია, მე კი თქვენი ქვეყანა ძალიან მიყვარს და ყველანაირად ვეცდები, საქმე ბოლომდე მივიყვანო.

**— საქართველო თავისებური ქვეყანაა — მიშელის ოჯახის წევრები არ იუარებენ ჩვენთან ჩამოსვლას?**

— ეგ პრობლემა არაა, მე მიშელის მეუღლესაც ველაპარაკე.

**— მერე რა შთაბეჭდილებები დარჩა მიშელის ცოლს?**

— ისიც ერთობ მოიხიბლა საქართველოში ჩამოსვლის პერსპექტივით.

**— მოლაპარაკებების შემდეგი ეტაპი როდის გაიმართება?**

— ხვალ სამშობლოში ვბრუნდები, ერთ კვირაში კი თბილისში ჩამოვალ და მერაბ ჟორდანიას შევხვდები. თქვენ ძალიან კარგი ფეხბურთელები გყავთ, მაგრამ ნაკრები წარმატებას რატომ ვერ აღწევს? ამიტომაცაა საჭირო მიშელის დარი სპეციალისტი.

**— ჟორდანიას და მიშელს როდის და სად შეახვედრებთ?**

— შესაძლოა, შეხვედრა გერმანია 2006-ის შესარჩევი ეტაპის წილისყრამდეც მოხერხდეს. ახლა მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ შეხვედრა არც მონაკოში შედგება და არც საქართველოში — გერმანიაში ან საფრანგეთში.

**— დაახლოებით რა ანაზღაურება საჭიროა ისეთი რანგის სპეციალისტისთვის, როგორიც მიშელია?**

— ჩემს ფირმას ამის თქმა არ შეუძლია. ახლა ჯერ ინფორმაციის შეგროვებაზე და სხვა დეტალებზე უნდა ვიმუშაოთ, ფინანსური საკითხი კი მოგვიანებით გაირკვევა.

**დავით თამართძილაძე**

# პროფლიგის დღეობა
## კმარა უფულობა
### საღამო შევარდნაძის გარეშე

*ეროვნული სტადიონის მიდამო ალაგს, კაფე „მსოფლიო სპორტში“ გუშინ საქართველოს საფეხბურთო პროფესიული ლიგის პრეზენტაცია გაიმართა. საღამოზე მიწვეული იყო ქვეყნის პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, თუმც ის ვერ მობრძანდა და საფეხბურთო-სპორტულ სამყაროს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე ეახლა*





პროფლიგის დღეობა შამპანურითაც დალოცეს

წამყვანი პროფლიგის პრესატაშე პაატა ბურჯალიანი გახლდათ. დარბაზი „კოკა კოლას“ მანათობელი ფირნიშით იყო აწითლებული, ზეწარ-ეკრანზე კი პროფლიგის ვიდეოკლიპი და მისი სპონსორი კომპანიების სარეკლამო ჩანახატებიც ტრიალებდა.

— მადლობა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებს — ჩვენ დიდი ნაბიჯი გადავდგით ფეხბურთის განვითარებისთვის. არის პირველი ინვესტიციები ქართულ ფეხბურთში. პროფლიგის გენერალური სპონსორი „კოკა კოლაა“, რომელიც ფიფა-უეფას პარტნიორიცაა და ფეხბურთში საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. ჩვენი მთავარი სპონსორია „საქართველოს ბანკი“, პროფლიგის პარტნიორები აგრეთვე არიან „ნიკორა“, „ჯეოსელი“, „სნიკერსი“ და სადაზღვევო კომპანია BCI — ასეთი იყო პროფესიული ლიგის პრეზიდენტის *დიმიტრი რამიშვილის* სიტყვა.

„კოკა კოლას“ თბილისის ოფისის გენერალურმა მენეჯერმა *თემურ ჭყონიამ* მოგვახსენა, რომ საქართველოში „კოკა კოლა“ ფეხბურთით პირველად 1994 წელს დაინტერესდა, როცა ბავშვთა ფეხბურთის პროექტში ჩაერთო, თუმც შემდეგ შეჩერდა მისი ურთიერთობა ქართულ ფეხბურთთან, მაგრამ ახლა, სტაბილურობის პერიოდში კვლავ განახლდა. ჭყონიამ ქვეყნის კანონმდებლობის დახმარების იმედი გამოთქვა გადასახადებთან მიმართებაში და ისიც თქვა, კავკასიის საფეხბურთო ლიგის შექმნის პროექტს სერიოზულად ვეკიდებითო.

კლუბების წარმომადგენელთაგან სიტყვა „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ *გურამ რუხაძეს* ერგო: „ფეხბურთში ჩვენი წარუმატებლობების უპირველესი მიზეზი უსახსრობაა. „ვიტ ჯორჯიას“ ბიუჯეტი ყოველწლიურად 30-40 პროცენტით იზრდება, მაგრამ ეს არ კმარა. ინვესტიციების მოზიდვა აუცილებელია და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა პროფლიგის შექმნით. ახლა ჩვენ შევძლებთ სერიოზულ წინსვლას და გულშემატკივრების სტადიონებზე დაბრუნებას“.

წერტილი სახელმწიფო მინისტრის გახლდათ. *ავთანდილ ჯორბენაძემ* ზოგად და თბილ ფრაზებს ისიც მიაყოლა, პროფლიგის შექმნა იმითაა მნიშვნელოვანი, რომ ქართულ ფეხბურთში კომერციალიზაცია იწყებაო.

და კიდევ, პროფლიგა შამპანურით და ტკბილეულ-ბუტერბროდული მასლაათობით დაილოცა.

**დავით თამართძილაძე**



დიმიტრი რამიშვილი

**ესპანეთი**

პრიმერადივიზიონი
IX ტური

**ატლეტიკო 4:0 სოსიედადი**

**შვედეთი**

ალვი ოფი

**ჰეკენი 1:2 სუნდსვალი**

**პოლონეთი**

I ლიგა. XI ტური

**ვისლა 4:0 ლეხნა**

**იტალია**

თასის II ეტაპი
საპასუხო მატჩი

**ბრეშა 2:3 პალერმო (1:1)**


სამკურნალო გაერთიანება
„ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# იაშვილმა ეგრევე... ისეთი გოლი გავიტანე, მე თვითონ გამიკვირდა

*გერმანიის თასის მეთექვსმეტედფინალში ერთი უჩვეულო ანგარიში დაფიქსირდა, ქართველების გუნდების, „ფრაიბურგისა" და „შალკეს" მატჩის ძირითადი დრო ფრედ — 3:3 მორჩა, დამატებითში კი მასპინძლებმა ოთხი უპასუხო გოლი გაიტანეს. შვიდიდან ორი, მათ შორის ერთი ულამაზესი, ალექსანდრე იაშვილის ანგარიშზეა, მას გუშინ დავუკავშირდით*



ლევან კობიაშვილი და ალექსანდრე იაშვილი ერთმანეთს ძმურად, მაგრამ მოწყენილ-ხალისიანად დაშორდნენ

— „შალკესთან" ჩემი პირველი გოლი ისეთი გამოვიდა, თავადაც მომეწონა. მეტოქის საჯარიმოს მახლობლად ტანკომ თავით უკან გადმომიგდო ბურთი, მე კი ფეხი ჰაერშივე შევაგებე და შეუჩერებლად დავარტყი, მეკარემ რეაქციაც ვერ მოასწრო. ჩემი მეორე გოლი არაფრით გამოირჩეოდა, ბურთი მეკარეს ხელებიდან გაუვარდა და დასწრებაზე მცველს ვაჯობე.

**— ანგარიში 7:3 ალბათ, თქვენთვისაც სენსაციური გამოდგა...**

— „შალკესთან" ასეთი ანგარიშით მოგება ყველა გუნდისთვის საამაყო იქნება, საამაყო ჩვენთვისაც. ეს ის დღე იყო, როცა ჩვენ ყველაფერი გამოგვივიდა, რაც კი მოვისურვეთ.

**— „შალკემ" ასე სუსტად ითამაშა?**

— მეტოქემ, ვფიქრობ, მთელი ძალ-ღონით ითამაშა, მაგრამ ხომ ვთქვი, გუშინ ჩვენი დღე იყო, რაც გვსურდა, ის გავაკეთეთ.

**— მატჩის შემდეგ ალბათ, შალკელ ლევან კობიაშვილს გამოელაპარაკებოდი. რაო, ხომ არ იცი, ჰაინკესს კიდევ დიდხანს გააჩერებენ „შალკეში"?**

— ლევანთან ამ თემაზე არ მილაპარაკია. ისე კი გავიგე, რომ ჰაინკესს წყალი აქვს შემდგარი.

**— ქომაგებმა ამ მოგების შემდეგ, ბუნდესლიგის წინა ტურში „ვერდერთან" მარცხი, ალბათ დაივიწყეს...**

— „ვერდერთან" მატჩი ჩვენთვის მართლაც კოშმარული გამოდგა. პირველსავე ტაიმში 0:3 ვაგებდით. ვფიქრობ, ასეთივე კოშმარული გამოდგა „შალკესთვის" ჩვენთან დამარცხება.

**— და ორივე მატჩში ორი გოლი გაიტანე...**

— ძალიან კარგი, თამაში წამივიდა, ორ მატჩში ოთხი გოლი, ჩემთვის, ნებისმიერი თავდამსხმელისთვისაც საამაყოა.

**ქობა ინასარიძე**

# მენისკმა ნემსაძე აუქმა



**საქართველოს** ნაკრებისა და შოტლანდიური „დანდის" ნახევარმცველი გიორგი ნემსაძე ტრავმირებულია და ერთკვირიანი მკურნალობა კიდევ ამდენ ხანს გაუგრძელდება.

ნემსაძემ ერთ-ერთ ვარჯიშზე მუხლი დაიზიანა. ექიმების დიაგნოზით, ფეხბურთელს მენისკის ხრტილი აქვს ჩამოტეხილი და პროფილაქტიკას საჭიროებს. ნემსაძის თქმით, ტრავმა საშიში არ არის, თუმცა ფეხბურთელს დასვენება სჭირდება. ამჟამად გიორგი ინდივიდუალურად, ტრენაჟორებზე მსუბუქად ვარჯიშობს და მკურნალობის კურსს გადის. ნემსაძემ შოტლანდიის ჩემპიონატისა და თასის თითო მატჩი უკვე გამოტოვა, გამოტოვებს საშაბათო შეხვედრას „ჰიბერნიანის" წინააღმდეგაც და ექიმებმა ნება თუ დართეს, მომავალ შაბათსღა შესძლებს თამაშს, თუ არადა, კიდევ ორ კვირას მოუწევს იძულებით დასვენება.

ამასობაში კი „დანდი" სტაბილურად ათამაშდა. ბოლო ხანს არცთუ გამორჩეული ეს კლუბი ახლა შოტლანდიური პრემიერლიგის მეოთხე საფეხურზეა და მესამემდე ორი ქულა აშორებს. მესამე ადგილი კი შოტლანდიაში ერთობ კარგ შედეგად ითვლება, რადგანაც „რეინჯერსისა" და „სელტიკის" საჩემპიონო დავაში ჩარევა სხვებისთვის შეუძლებელია.

**ქობა ინასარიძე**

# ლომაიას კარი დაუპატარავეს



**საქართველოს** ნაკრების მეკარეს გიორგი ლომაიას კიდევ ერთი ბარიერი „დაუდგეს" — მოსკოვის „სპარტაკმა" ცოტა ხნის წინ დაწუნებული მაროკოელი აბდელილა ბაგი დაიბრუნა. 25 წლის აფრიკელი მეკარე „სახალხო გუნდს" სეზონის წინ შეუერთდა და თავიდან ძირითად შემადგენლობაშიც მოიკიდა ფეხი, თუმც მალე გუნდიდან გასაშვებთა „შავ სიაში" მოხვდა. ამასობაში „სპარტაკმა" გიორგი ლომაია შეიძინა, ბაგი სამშობლოში დაბრუნდა და მაროკოს ნაკრებში აფრიკის ერთა თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშა, იქიდან დაბრუნებულს კი „სპარტაკის" კარი ღია დახვდა.

ახლა მოსკოველთა ძირითადი მეკარე პოლონელი ვოიცეხ კოვალევსკია, რომლის შემცვლელადაც ითვლებოდა ლომაია. თუმც როგორ გადანაწილდება ძალები გუნდში ბაგის დაბრუნების შემდეგ, საკითხავია. მით უმეტეს, „სპარტაკს" მალე ახალ მწვრთნელს დაუნიშნავენ და მისი აზრი, ცხადია, ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება.

აქვე გეტყვით, რომ „სპარტაკში" დღესდღეობით ექვსი მეკარე ირიცხება და ხუთი უცხოელია — ავსტრიელი საბოლჩ შაფარი, უკრაინელი ანტონ ალექსეევი, ქართველი გიორგი ლომაია, მაროკოელი აბდელილა ბაგი, პოლონელი ვოიცეხ კოვალევსკი.

**ქახა შალამბერიძე**

*გუშინწინ სიმფეროპოლის „ტავრიამ" უკრაინის თასის მერვედფინალიდან დონეცკის „მეტალურგი" დაიფრინა. ზურაბ იონანიძემ თავი მატჩისშემდგომ პენალტების სერიაში გამოიჩინა და სიმფეროპოლელებმაც 9:8 სძლიეს ჯამარაულ-დემეტრაძის გუნდს. ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ, 1:1 მორჩა, თუმც მატჩის თვითმხილველთა თქმით, „ტავრიას" საქმე პენალტებამდე არ უნდა მიეყვანა.*

*გუშინ ზურაბ იონანიძეს სიმფეროპოლში შევეხმიანეთ და მეოთხედფინალში გასვლა მივულოცეთ.*

# იონანიძემ ჯამარაულს და დემეტრაძეს აწყენინა



ზურაბ იონანიძე (№14) „ტავრიის" საქმეებს ასწორებს

— მეოთხედფინალში გასვლით ძალიან გავიხარეთ. ძლიერი მეტოქე გვყავდა და ეს უფრო ფასეულს ხდის ჩვენს გამარჯვებას.

**— ამბობენ, „ტავრიას" ძირითად დროშიც უნდა მოეგოო...**

— ეგრეა, პენალტების სერიამდე საქმე არ უნდა მიგვეყვანა. თავიდანვე მოვიპოვეთ უპირატესობა და 1:0-საც ვიგებდით, მაგრამ მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე გაგვიტანეს დონეცკელებმა. კინაღამ წყალში ჩავყარეთ ყველაფერი, მაგრამ, საბედნიეროდ, პენალტებში ვიძალეთ. ერთი თერთმეტმეტრიანი მეც გამოვიყენე და მიხარია, რომ გუნდის წარმატებაში წვლილი შევიტანე.

**— უკრაინის ჩემპიონატში კი სუსტად თამაშობთ...**

— უბრალოდ, გუნდს ჩავარდნა ჰქონდა. ახლა სიტუაცია გამოვასწორეთ. ბოლო ტურში „ზირკასთან" 2:0 მოვიგეთ, აგერ, თასზეც წარმატებით ვითამაშეთ. ახლა სტიმული მოგვემატა და, ვფიქრობ, კრიზისს თანდათან დავძლევთ. ჯერ დაკარგული არაფერია. სატურნირო მდგომარეობის გამოსწორება შეუძლებელი სულაც არაა.

**— ცუდი შედეგების გამო კლუბმა თითქოს რამდენიმე ფეხბურთელი დაითხოვა...**

— ჩომახიძეს კონტრაქტი ისედაც უმთავრდებოდა, თან ტრავმები ჰქონდა და შოთამაც დატოვა გუნდი. გია ჭანტურია კი არსად წასულა. რაც მასზე დაიწერა, ჭორია. ჭანტურია ისევ „ტავრიაშია" და „მეტალურგთან" თამაშში სათადარიგო იყო.

**— „მეტალურგთან" თამაშს დავუბრუნდეთ. გოჩა ჯამარაული და გიორგი დემეტრაძე როგორ გაისარჯნენ?**

— ორივემ კარგად ითამაშა. ვფიქრობ, „მეტალურგიდან" სწორედ ისინი გამოირჩეოდნენ.

**— ნამატჩევს ალბათ ერთმანეთიც ნახეთ...**

— რა თქმა უნდა. გამარჯვება მომილოცეს, ერთმანეთი მოვიკითხეთ და ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. მათი ნახვა ძალიან გამიხარდა.

**— მეოთხედფინალში გასვლას ელოდი?**

— ცხადია, დონეცკის „მეტალურგი" ჩვენთან შედარებით ძალიან ძლიერია, მაგრამ ფეხბურთში მოგებიდან წაგებამდე ერთი ნაბიჯია. რა ვიცი, ან ჩვენ ვიყავით იმ დღეს ძალიან მაგრები, ან მეტოქემ ითამაშა სუსტად.

**— უკრაინის ჩემპიონატს როგორ შეეგუე?**

— ნორმალურად. თავიდან ოდნავ გამიჭირდა, მაგრამ ახლა არაფერს ვუჩივი. თავს კარგად ვგრძნობ.

**— საქართველოს ჩემპიონატთან შედარებით დიდი სხვაობაა?**

— საკმაოდ. აქაური ჩემპიონატი აშკარად უფრო მაღალი დონისაა.

**— მაინც რითი გჯობნიან უკრაინელები?**

— თუნდაც სტადიონებით, პირობებით. თამაშები მაღალ ტემპში მიდის. ეს ყველაფერი ერთმანეთს რომ ემატება, დიდი სხვაობა გამოდის.

**— ანუ გოლების გატანაც უფრო ძნელია?**

— რა თქმა უნდა. საქართველოში უფრო იოლად გამქონდა, მაგრამ იმასაც გააჩნია, როგორ გუნდში თამაშობ. ცხადია, „ტავრიაში" უფრო გიჭირს გატანა, ვიდრე ვთქვათ, „შახტარში". ეს ლოგიკურია.

**ქახა შალამბერიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

**15 ტური ანონსი**



ქუთაისში „ტორპედომ" „კოლხეთი" ზვიად ქუთათელაძის მონადირებული პენალტით დაამარცხა

# დიდი არჩევანი: ბურთი, ყანწი და ხმა

## მერე რა იქნება, ღმერთმა იცის

*ამ შაბათ-კვირას თბილისობით და არჩევნებით იცხოვრეთო, გვეუბნებიან ხელისუფალნი. დედაქალაქის დაგვიანებული დღეობის აღნიშვნა ვინძლო, სასიამოვნო პროცესია, ნაბახუსევზე კი მოქალაქეობრივი ვალის მოხდა ეგებ ბევრს გაუჭირდეს. სამაგიეროდ, პრობლემა არ უნდა იყოს მნიშვნელოვან ქართულ მოვლენათაგან გამოგონილი ეროვნული ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩების ნახვა. სხვა საკითხია, სანახავი რა იქნება.*

*აქვე ვთქვათ, ტურის და ჩემპიონატის გამორჩეული დაპირისპირება, „ვიტ ჯორჯია" – „დინამო" „თბილისობის" საზეიმო პროგრამაში ჩაჯდა და შაბათს გაიმართება. ამ მატჩის ანონსზე დაწვრილებით ხვალინდელ „სარბიელში" ვთქვათ, ტურის ხუთი მატჩი კი დღეს გაიმართება.*

**ქართულ** ჩემპიონატს ულვაშა პერუელი დაუბრუნდა. ლუის ცაკარიასისთვის, ბუნებრივია, ერთობ მნიშვნელოვანია ხელმეორე დებიუტი. ვითარება კი ასეთია — პერუელს ყოფილი გუნდი პრობლემებმოძალებული დახვდა. „რკინიგზული ვაგონი" გაუმართავია და საკითხავია, როგორ შეძლებს ცაკარიასი მის შეკეთებას. აქვე ვთქვათ, რომ პერუელის პირველი ქართული ვოიაჟი კრახით დამთავრდა. ცაკარიასმა გასულ სეზონში ვერაფრით დააკმაყოფილა „ლოკომოტივის" ხელმძღვანელთა დიდი ამბიციები, თუმც ლუისი ირწმუნება, როგორც მწვრთნელი დაბრძენებული დავბრუნდი და შედეგსაც გაჩვენებთო. ვნახოთ.

ნებისმიერ შემთხვევაში, პერუელს დღეს დიდი სამუშაო აქვს — ორიოდე ვარჯიშით სახეცვლილი „ლოკომოტივი" უნდა დაუპირისპიროს აღმავლობის გზაზე მდგარ და საექსპულო იშტაზე მოსულ „ბათუმს".

ბოლო ოთხ ტურში „ბათუმმა" მხოლოდ ერთხელ წააგო, ისიც ჩემპიონ „დინამოსთან". ბოლო ორი შეხვედრა კი მიჯრით მოიგო „ტორპედოსთან" და სტუმრად „კოლხეთთან". მნიშვნელოვანია, რომ ზღვისპირელებმა ორიოდე მატჩი სოლიდური სხვაობით მოიგეს, ეს კი იმის მანიშნებელიცაა, რომ ბალაძე-ჩხარტიშვილის გუნდმა გოლების გატანა დაიწყო. მოკლედ, საამმატჩოდ „ლოკომოტივის" ფავორიტობაზე თავის დადება არ ღირს. დაძაბული, რთული თამაში იქნება ფოთში — ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ბოლო ორ ტურში „ბათუმის" მიერ დაბრიყვებული „კოლხეთი" და „ტორპედო".

ფოთელები შოკში არიან. დიდი ჩავარდნა აქვთ და დღესაც თუ დამარცხდნენ, გვარიანად გაირთულებენ საქმეს. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, „კოლხეთის" ხელმძღვანელები გუნდის მთავარ მწვრთნელ გია ტყებუჩავას კვლავაც ენდობიან და „ჯუნგლის" დღეს დიდი ძალისხმევა მართებს გაცემული ავანსების გასანაღდებლად. რიონივით ამღვრეულია „ტორპედოს" საქმეც. ბრაზილიურ სამბაზე გადაწყობილი გუნდი სამ ტურში მხოლოდ ორ ქულას გამორჩა, ეს კი ის შედეგი არაა, ქუთათურთა ქომაგს გული მოუფონოს. ვიცე-ჩემპიონი მოგებას უნდა დაეჩვიოს, საექსპულო შანსი რომ შეინარჩუნოს. „კოლხეთთან" მატჩი კი ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, რაკიღა მომავალ ტურში „ტორპედოს" კლდე დახვდება „ვიტ ჯორჯიას" სახით, 12 ნოემბერს კი გაცაკარიასებული „ლოკომოტივი".

სადღეისო სამ მატჩს, ზემოთ ნახსენები ორისგან განსხვავებით, ნაკლები ინტრიგა ახლავს, თუმც მონაწილეთა მოტივაციისთვის საკმარისი. მომძლავრებულ „თბილისს" სასიცოცხლო მნიშვნელობის სამი ქულის აღების შანსი აქვს ბოლო დროს ჩაყვინთულ „მცხეთასთან". გიორგი დევდარიანის ბიჭებმა ჩვეული მონდომებით თუ ითამაშეს და მეტოქე დააფასეს, წარმატებაც არ დააყოვნებს. საგოლე იშტაზე მოსული ჩემპიონატის მთავარმეგოლე სულიკო დავითაშვილი კვლავაც შეეცდება პირადი მონაგარის გაზრდას. „მცხეთამ" კი, თუ წარმატება სურს, მეთერთმეტე ტურში დატოვებული შემართება უნდა დაიბრუნოს.

წინა ტურში „თბილისთან" ქულის გამყოფი „სიონი" „სპარტაკის" ძლევით შეეცდება სალიდერო ამბიციების გაღვივებას. ბოლნისელებს ერთი ნაკლი აქვთ. ხშირად სუსტი მეტოქეების სათანადოდ შეფასება ავიწყდებათ და ასეთ ვითარებაში თუ იგებენ, დიდი ძალისხმევის ფასად. ამიტომ ოთარ გაბელიას გუნდი სერიოზულად უნდა მოეკიდოს ახალგაზრდულ „სპარტაკთან" თამაშს.

საშინაო მატჩებში „დილას" მხოლოდ ორი ქულა აქვს დაკარგული, თუმც ლიდერთაგან ყველაზე სუსტად თამაშობს გასვლაზე. ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი დღეს აუტსაიდერ „მერცხალთან" ეგებ ფავორიტიცაა ოზურგეთულ მატჩში, თუმც საშიში მეტოქე ჰყავს, რაკიღა სატურნირო ვითარება „მერცხალს" თავგანწირული ბრძოლის გარდა სხვა შანსს არ უტოვებს.

**პაატა ძმანტალიანი**

ბოლნისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. თეიმურ სტეფანია

### სიონი — სპარტაკი

მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); მ. ელიკაშვილი, ზ. ჯვარიძე; ა. მეშკოვი (სამივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი; დირექტორი: ს. კოტრიკაძე

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. შევარდენი

### თბილისი — მცხეთა

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: ბ. სიჭინავა

ოზურგეთი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ცენტრალური

### მერცხალი — დილა

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე; დირექტორი: ე. თევზაძე

თბილისი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ეროვნული

### ლოკომოტივი — ბათუმი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: გ. კეტაშვილი

ფოთი. 31 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი

### კოლხეთი — ტორპედო

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), მ. ურუშაძე; ი. კახიანი (ორივე თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ბარქაია; დირექტორი: გ. ქორიძე

თბილისი. 1 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი

### ვიტ ჯორჯია — დინამო

მსაჯები: მ. მალალურაძე (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. იგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე; დირექტორი: ნ. კაკულია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 9 | 3 | 2 | 32:6 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 24:7 | 28 |
| სიონი | 14 | 7 | 6 | 1 | 17:8 | 27 |
| დილა | 14 | 8 | 2 | 4 | 18:11 | 26 |
| თბილისი | 13 | 5 | 3 | 5 | 23:16 | 18 |
| ლოკომოტივი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:15 | 18 |
| მცხეთა | 14 | 5 | 2 | 7 | 17:30 | 17 |
| ბათუმი | 13 | 5 | 1 | 7 | 15:14 | 16 |
| ტორპედო | 14 | 4 | 4 | 6 | 11:16 | 16 |
| კოლხეთი | 14 | 3 | 3 | 8 | 9:19 | 12 |
| სპარტაკი | 14 | 2 | 4 | 8 | 8:35 | 10 |
| მერცხალი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:29 | 9 |

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 10 | დავითაშვილი | თბილისი |
| 8 | ახალაია | დინამო |
| 7 | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| | გონჩაროვი | სიონი |
| | კაკალაძე | ბათუმი |
| | ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 6 | ა. კაიდარაშვილი | დილა |
| 5 | მელქაძე | დინამო |
| | დარასელია | დინამო |
| | გაბედავა | მერცხალი |
| | ალექსიძე | დინამო |
| | გაბისკირია | სიონი |
| 4 | ძოძუაშვილი | დილა |
| | ჩილვინაძე | მცხეთა |
| | ჭინჭარაული | მერცხალი |
| | სირაძე | ლოკომოტივი |
| | მიქუჩაძე | თბილისი |



პირველ წრეში გივი კვარაცხელიას (მარცხნივ) „თბილისი" ლაშა ჩხაიძის „მცხეთას" დაეჩაგვრინა

# დეპორტივო ვერ გა-დარჩა

## ესპანეთი
### პრიმერადივიზიონი. IX ტური

**სარაგოსა 0:0 რეალი**

სარაგოსა: ლაინესი, რებოსიო, ალვარო, მილიტო, ტოლედო, გალეტი, სავიო (ჩანი 77), პონციო, კორონა (ინიაკი 86), სორიანო, ვილა
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, პავონი, რაულ ბრავო, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ი. ელგერა, გუტი, ზიდანი (პორტილიო 86), რაული, რონალდო (სოლარი 76)
მწვრთნელი: კარლუშ კეიროში
გაფრთხილება: პავონი, პონციო, ელგერა, პავონი, სორიანო
გაძევება: პავონი (72)
მსაჯი: მეხუტო გონსალესი
35 000 მაყურებელი

**ბილბაო 2:1 მალაგა**

0:1 დიეგო ალონსო (3), 1:1 ურსაისი (62), 2:1 ტიკო (72)
ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ლაკრუსი, სეზარი (ხონანი 58), ირაოლა, გურპეგი, დელ ორნო, ტიკო (ი. გერერო 88), ესკერო (ორბაისი 80), ხ. ეჩებერია, ურსაისი
მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე
მალაგა: კალატაიუდი, ხოსემი, ლიტოსი, ვალკარსე, სანსი, ხერარდო (ინსუა 78), დუდა (კანაბალი 66), მიგელ ანხელი, ხუან როდრიგესი (ხუანიტო 46), დიეგო ალონსო, ედგარი
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
გაფრთხილება: ეჩებერია, ვალკარსე, ტიკო, დუდა, გურპეგი, ლიტოსი, ხონანი
მსაჯი: ტეიშეირა ვიტიენესი
20 000 მაყურებელი

**დეპორტივო 0:2 მალიორკა**

0:1 ეტოო (75პ), 0:2 ბრუგინკი (87)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, ნაიბეტი, ჟორჟე ანდრადე, სერხიო, ვიქტორი, ვალერონი (ფრანი 61), დუშერი (სკალონი 78), ტრისტანი (პანდიანი 63), ლუკე
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
მალიორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კორტესი, ოლაიზოლა, ნადალი, კამპანო (მარკოსი 73), ნაგორე, კოლსა, ი. სტანკოვიჩი (ტონი გონსალესი 71), ეტოო, კორეა (ბრუგინკი 83)
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
გაფრთხილება: დუშერი, სტანკოვიჩი, კორეა, ფრანი, ნაიბეტი, ნაგორე, ლუკე, მარკოსი
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
20 000 მაყურებელი

**ბარსელონა 3:0 მურსია**

1:0 სავიოლა (38), 2:0 ხავი (56), 3:0 რონალდინიო (66)
ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი (ოსკარ ლოპესი 79), პუიოლი, კოკუ, ვან ბრონკჰორსტი, ხერარდი (მარკესი 69), მოტა (ხავი 47), კვარესმა, ლუის გარსია, რონალდინიო, სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
მურსია: სანჩეს ბროტო, ხუანმა, კარერასი, კუადრადო, პედრო ლარგო, აკიარი, იენსენი (რობერტო 81), მიჩელი (კლავერო 32), დ. კარანკა, ლუის გარსია, რიჩი
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
გაფრთხილება: სავიოლა, ოსკარ ლოპესი, კუადრადო
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
57 252 მაყურებელი

**ალბასეტე 2:0 ვილიარეალი**

1:0 პარი (67), 2:0 ბასტი (71)
ალბასეტე: როა, ოსკარი, კრისტიან დიასი, პაბლო, ბუადესი, ვიაუდი, პარი (გ. რედონდო 86), დავიდ სანჩესი (ბასტი 69), დელპორტი, პაბლო გარსია (ივან დიასი 65), მიკელი
მწვრთნელი: სეზარ ფერანდო
ვილიარეალი: რეინა, არუაბარენა, კოლოჩინი, მარტი, ბელეტი (ხავი ვენტა 46), ბალესტეროსი, ხოსიკო, როხერი (ხოსკო 70), რიკელმე, ს. ანდერსონი, გიარე
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: დავიდ სანჩესი, არუაბარენა, ვიაუდი
მსაჯი: მეია დავილა
15 000 მაყურებელი




ბარსელონა — მურსია. რონალდინიომ სტუმარ მცველებში გაინავარდა

**სევილია 1:1 ვალიადოლიდი**

1:0 დარიო სილვა (16), 1:1 მაკუკულა (51)
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, ხ. რედონდო, პაბლო ალფარო, გალიარდო (კარლოსი 75), მარტი, კასკერო (მარკოს ვალესი 72), დარიო სილვა, რეიესი, ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, ტორეს გომესი, ჟულიო სეზარი, ხესუსი, ოსკარი, ჩემა (საპატა 50), კამინერო, ფ. სალესი, მაკუკულა (ლოსადა 80), სოუზა (ჯონათანი 71)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
გაფრთხილება: რედონდო, გალიარდო, კამინერო, ფ. სალესი
გაძევება: დარიო სილვა (59), მარკოსი (66)
მსაჯი: პუენტეს ლეირა
35 000 მაყურებელი

**რასინგი 0:1 ესპანიოლი**

0:1 ოსკარი (83)
რასინგი: რიკარდო, კორომინა, ნერუ, პაბლო კასარი, ხუანმა, ნაფტი (რეგუერო 88), მორანი, მატეო (ხავი გერერო 60), ბოდიპო, ბენაიუნი, ჯონათანი (ჩიკი 77)
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ესპანიოლი: ტონი ხიმენესი, დავიდ გარსია, ლოპო, ტორიჩელი, დომორო, მორალესი, მაქსი, ტაიფუნი, ალექს ფერნანდესი (ოსკარი 74), კრუიფი, ტამუდო (რაულ მოლინა 32; ბობსონი 90)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ნაფტი, პაბლო კასარი, დომორო, ალექს ფერნანდესი, ოსკარი, ოსკარი
გაძევება: ოსკარი (90)
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
10 141 მაყურებელი

**ოსასუნა 2:0 ბეტისი**

1:0 მოა (51), 2:0 მუნიოსი (81)
ოსასუნა: სანსოლი, ისკიერდო, ანტონიო ლოპესი, მატეო, კრუჩაგა, ალფრედო, პუნიალი, მოა (პინეირო 89), რივერო (მუნიოსი 66), ალოიზი, ბაკაიოკო (პალასიოსი 77)
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
ბეტისი: პედრო კონტრერასი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, ლემბო, არზუ, ფერნანდო (ისმაელი 46), კაპი, მ. ასუნსაო, ხოაკინი, მელი (პალერმო 61), ტოტე (დანი 79)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: მატეო, კაპი, არზუ, პუნიალი
მსაჯი: პერეს ლასა
14 210 მაყურებელი

**ვალენსია 2:2 სელტა**

1:0 აიმარი (42), 1:1 ბერიზო (57), 1:2 ხესული (66), 2:2 კანობიო (68)
ვალენსია: კანისარესი, აიალა, მარჩენა, კარბონი, დავიდ ნავარო, კურო ტორესი, ბარახა, ვისენტე (კანობიო 38), ხორხე ლოპესი (რუფეტე 80), აიმარი, მისტა (ოლივეირა 68)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
სელტა: კაბალიერო, ველასკო, სილვინიო, კასერესი, ბერიზო (სერხიო 89), ხუანფრანი, მოსტოვოი, ხოსე იგნასიო (ოუბინია 71), ლუქსენი, მილოშევიჩი, ხესული (ანხელი 90)
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: მარჩენა, კაბალიერო, ბერიზო, მილოშევიჩი, ხოსე იგნასიო, ხუანფრანი, ოუბინია, ხესული
მსაჯი: პინო სამორანო
45 000 მაყურებელი

**ატლეტიკო — სოსიედადი**

*წუხელ გვიან დამთავრდა* *(იხ. მე-2 გვერდზე)* *და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*




დეპორტივო — მალიორკა. ალბერტო ლუკეს ყოჩაღობამ „დეპორტივოს“ ვერ უშველა

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 დეპორტივო | 9 | 7 | 0 | 2 | 19:8 | 11 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 |
| 2 რეალი | 9 | 6 | 2 | 1 | 20:9 | 11 | 20 | 4 | 4 | 0 | 0 | 14:5 | 9 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 3 ვალენსია | 9 | 6 | 2 | 1 | 16:5 | 11 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 7 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 |
| 4 ოსასუნა | 9 | 5 | 2 | 2 | 12:7 | 5 | 17 | 5 | 4 | 0 | 1 | 8:4 | 4 | 12 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 |
| 5 ბარსელონა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 15 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 5 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 |
| 6 ბილბაო | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 3 | 14 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:2 | 7 | 12 | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | -4 | 2 |
| 7 ბეტისი | 9 | 3 | 4 | 2 | 12:11 | 1 | 13 | 4 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 1 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 7 |
| 8 სოსიედადი | 8 | 3 | 3 | 2 | 9:7 | 2 | 12 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:2 | 4 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 9 სევილია | 9 | 2 | 6 | 1 | 12:11 | 1 | 12 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:5 | 1 | 8 | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 0 | 4 |
| 10 რასინგი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:11 | 1 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 5 |
| 11 ვილიარეალი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:11 | -1 | 11 | 4 | 0 | 4 | 0 | 6:6 | 0 | 4 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 7 |
| 12 ვალიადოლიდი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:18 | -6 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 6:13 | -7 | 2 |
| 13 სელტა | 9 | 2 | 4 | 3 | 13:13 | 0 | 10 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:7 | -3 | 4 | 5 | 1 | 3 | 1 | 9:6 | 3 | 6 |
| 14 მალაგა | 9 | 3 | 1 | 5 | 10:14 | -4 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | -4 | 3 |
| 15 ატლეტიკო | 8 | 3 | 1 | 4 | 7:12 | -5 | 10 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 7 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | -4 | 3 |
| 16 ალბასეტე | 9 | 3 | 0 | 6 | 10:13 | -3 | 9 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:8 | -6 | 0 |
| 17 სარაგოსა | 9 | 2 | 2 | 5 | 6:10 | -4 | 8 | 5 | 2 | 1 | 2 | 4:2 | 2 | 7 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | -6 | 1 |
| 18 მალიორკა | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 0 | 5 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 19 მურსია | 9 | 1 | 3 | 5 | 7:16 | -9 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | -8 | 1 |
| 20 ესპანიოლი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:20 | -12 | 5 | 4 | 0 | 1 | 3 | 3:9 | -6 | 1 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | -6 | 4 |

თქვენი ნებართვით, „სარაგოსას“ და „რეალის“ მატჩზე აქ აღარ შევჩერდებით, რადგან მისი მიმოხილვა გუშინ შემოგთავაზეთ. მხოლოდ ის დავძინოთ, რომ როგორც მადრიდულმა „მარკამ“ დაწერა, მეორე ტაიმში ძნელად გაარჩევდით, რომელი იყო „რეალი“ და რომელი „სარაგოსა“. აქ არც „ატლეტიკო“ — „სოსიედადის“ მატჩს მიმოვიხილავთ, რადგან წუხელ გვიან დამთავრდა.

დანარჩენ შეხვედრებში კი დიახაც, რომ საინტერესო ამბები დატრიალდა.

| X ტური | |
|---|---|
| 2 ნოემბერი | |
| ბეტისი — | ატლეტიკო |
| სელტა — | რასინგი |
| ესპანიოლი — | სარაგოსა |
| რეალი — | ბილბაო |
| სოსიედადი — | ბარსელონა |
| ვალიადოლიდი — | ალბასეტე |
| მალიორკა — | ვალენსია |
| ვილიარეალი — | ოსასუნა |
| მურსია — | დეპორტივო |
| მალაგა — | სევილია |

მთავარი, რაღა თქმა უნდა, „დეპორტივოს“ საშინაო მარცხია. თანაც ვისთან — გუნდთან, რომელიც ბოლოსწინა ადგილზე ბოგინობდა და რვა მატჩში ერთადერთი გამარჯვებით ძლივს იწონებდა თავს. ერთი გარემოებაც აღვნიშნოთ — „მალიორკას“ „რიასორზე“ აქამდე არასდროს მოეგო.

ლაკორუნიელებს პირველი გოლი კამერუნელმა სამუელ ეტოომ გაუტანა პენალტით. არნოლდ ბრუკინგმა კი მატჩის მიწურულს ზემოდან გადაუგდო ბურთი ხოსე მოლინას და კუნძულელებმა ცხრილში ერთი საფეხურით წაიწიეს. მართალია, ეს დიდი ვერაფერი შეღავათია, მაგრამ რწმენის აღდგენისთვის ფრიად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო. მალიორკელთა ახლადდანიშნულმა მწვრთნელმა ლუის არაგონესმა კი უკვე მერამდენედ დაამტკიცა, რომ წელთა სიმრავლის მიუხედავად გონება ძველებურად უჭრის.

„დეპორტივოს“ სანუგეშოდ ისღა დარჩა, რომ მაინც ლიდერად დარჩა. ეს „რეალის“ გარდა „ვალენსიას“ წყალობითაც მოახერხა — „ვალენსიამ“ შინ ოდენ ქულა მოიხვეჭა „სელტასთან“ მატჩში.

„მესტალიას“ ბინადრებმა ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნეს, მაგრამ მერე მდევრად ყოფნა მოუხდათ. პაბლო აიმარის გოლს ედუარდო ბერისომ და ხესულიმ ორი ბურთით უპასუხეს. თუმცა ვიგოელთა დაწინაურებამ სულ ორ წუთს გასტანა. ფაბიო კანობიომ გაათანაბრა და შედეგად „ვალენსიამ“ ლიდერთან ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა.

ამასობაში მეხუთე ადგილზე აცოცდა „ბარსელონა“, რომელიც ამ ტურამდე მეშვიდე იყო, იქამდე კი ცხრილის შუაში გაჩხერილიყო.

რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, კატალონიელთათვის ამ სეზონში ეს პირველი საშინაო გამარჯვებაა. „მურსიას“ მასპინძელთათვის დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევია. ხავიერ სავიოლას პირველი გოლი რონალდინიოსა და ხერარდის გათამაშებული კომბინაციის ლოგიკური დასასრული გახლდათ. მეორე გოლისას ხავის ლუის გარსია მოემსახურა, ბოლოს კი რონალდინიომ სხვათა გამორჩეული დახმარების გარეშე მესამეც გაიტანა.

ბრძოლა ცხრილის ფსკერზეც გამძაფრდა, რაც „ესპანიოლის“ დამსახურებაა. მეორე ბარსელონურმა გუნდმა სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა, სანტანდერში „რასინგს“ სძლია. თამაში მეტისმეტად უსახური იყო და შექმნილ მომენტებსაც ძნელად თუ დავარქმევთ საგოლეს. ერთადერთი გოლი კი თამაშის დასრულებამდე შვიდი წუთით ადრე ოსკარმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა. ამგვარად, ერთი გამარჯვებაც და „ესპანიოლი“ შესაძლოა გასავარდნ ზონასაც ასცდეს.

მიმოხილვის ბოლოს კი ორიოდე სიტყვა „ოსასუნაზე“ ვთქვათ. პამპლონელები თამაშიდან თამაშამდე იმის დამტკიცებას ცდილობენ, რომ ლიდერთა მარაქაში შემთხვევით არ გარეულან. ჯერჯერობით მათ ეს გამოსდით. „ოსასუნას“ მორიგი მსხვერპლი „რეალ ბეტისი“ შეიქნა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ერთი მატჩი წაეგო და ისიც „რეალთან“.

**ძოტე ძეძელია**



REUTERS

ინტრახტი — დუისბურგი.
აბდელაზიზ აჰანფუფმა (№15) მასპინძელი შეარცხვინა

# გაიღიმეთ, კულიბალი გამოფრინდება!

## სიკვდილი დამატებულ დროში

### გერმანია

**თასის 1/16 ფინალი**

**ფილბერტი 1:2დ.დ.(1:1) რეგენსბურგი**
**აინტრახტი 1:2დ.დ.(1:1) დუისბურგი**
**ზიგენი 1:2დ.დ.(1:1) ფიურტი**
**ბრაუნშვაიგი 2:0 ჰანოვერი**
**ჰოფენჰაიმი 4:0 კარლსრუე**
**უნიონი 0:5 ლევერკუზენი**
**ფრაიბურგი 7:3დ.დ.(3:3) შალკე**
**ალემანია 1:1დ.დ.(პენ.5:4, 1:1) მიუნხენი**
**უნტერჰახინგი 2:4 ჰამბურგი**
**მიონხენგლადბახი 2:1 დორტმუნდი**

„ფრაიბურგი" სეზონში „შალკეს" მეორედ შეხვდა და „ხუმარები" ორჯერვე გაღიმებული დატოვა. მოედანზე ორი ქართველი იყო: იაშვილი და კობიაშვილი. პირველმა ბოლომდე ითამაშა და დუბლი შეასრულა, მეორე კი მე-60 წუთზე შეცვალეს.

აღსანიშნავია, რომ იუპ ჰაინკესს ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი აკლდა: ვიქტორ აგალი, ჰამიტ ალტინტოპი, კრისტიან ჯორჯევიჩი, იორგ ბიომე და ნიკო ვან კერკჰოვენი.

მასპინძელთა მალელი ლეგიონერი სომაილა კულიბალი საგოლე იშტაზე იყო. მან დაიწყო „შალკეს" განადგურება და იაშვილმა დაასრულა.

კულიბალიმ ანგარიში მერვე წუთზე გახსნა, კრისტიან პოულსენმა კი ტაიმის შუაწელში გაათანაბრა. შესვენებამდე იაშვილმა „ფრაიბურგი" დააწინაურა და პირველი ნახევარი ასე დასრულდა.

მეორეში სტუმრებმა იძალეს. პინტომ და ტრონინმა ხუთწუთიან მონაკვეთში წინ „შალკე" გაიყვანეს, მაგრამ ტრავმირებული ვილის ნაცვლად შესულმა კრუპკემ 84-ზე გაათანაბრა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა. აქ დაიწყო „ხუმარების" გამწარება. სტუმარი გუსტავო ვარელა მეორე ყვითელი ბარათის ძალით გააძევეს და „შალკეს" კარში პენალტი დანიშნეს, რომელიც ზლატან ბაირამოვიჩმა ზუსტად შეასრულა. კაცნაკლული გულზენკირხენელები მასპინძლებმა არ დაინდეს. კულიბალიმ ზედიზედ ორი გოლი მიაყოლა, ბოლო წერტილი კი ალექსანდრე იაშვილმა დასვა.

ბუნდესლიგაში „ბოხუმთან" (0:3) მარცხს დორტმუნდის „ბორუხიამ" თასზე გლადბახელ სეხნიასთან წაგება მიაყოლა. ჩემპიონატის მაჩანჩალამ „შავ-ყვითლები" პირველივე ტაიმში დააჩოქა. იგორ დემომ მე-11 წუთზე ვეიდენფელერს უზადოდ შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაუტანა, იონას კოლკამ კი კრისტიან ვიორნსის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაზარდა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა იჯახირეს, მაგრამ მხოლოდ ერთ პენალტს გამორჩნენ, კარნელმა საჯარიმოში ოდონკორი დასცა და მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც იან კოლერმა ზუსტად შეასრულა.

თასის გათამაშებას დორტმუნდელთა გარდა კიდევ სამი პირველ ბუნდესლიგელი მიჰყვა, რომელთაგან ერთი („ჰანოვერი") რეგიონალლიგელმა „ბრაუნშვაიგმა" მოისროლა, ფრანკფურტის „აინტრახტი" შინ „დუისბურგთან" დამარცხდა, „მიუნხენ 1860"-ს კი სტუმრად „ალენმა" სძლია.

„ბრაუნშვაიგმა" ჰანოვერელებს ორივე გოლი შესვენების შემდეგ გაუტანეს. იაკობ ტომასმა მასპინძლები მეორე ტაიმის დასაწყისშივე დააწინაურა, მატჩის მიწურულს კი იურგენ რიშემ პენალტი ზუსტად შეასრულა.

„აინტრახტმა" „დუისბურგთან" კარგად დაიწყო, რადგან მარკუს კროიცმა მეოთხე წუთზევე შეაგდო. ტაიმის ბოლოს სტუმარმა კაკამ გაათანაბრა, მეორე ნახევარი კი უგოლოდ მიილია. დამატებითი დროის მიწურულს აბდელაზიზ აჰანფუფმა სტუმრები გამარჯვების გოლით გაახარა.

მიუნხენელი „ლომები" აახენში ბენჟამინ ლაუტის პენალტით იგებდნენ, მაგრამ ალემანიელმა ერიკ მეიერმა მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე გაქვითა. დამატებულმა ნახევარმა საათმა ძლიერი ვერ გამოავლინა, პენალტების სერიაში კი მასპინძელთა მეკარე სტრაუბმა იყოჩაღა და გადამწყვეტი დარტყმა მოიგერია.

კლაუს ტოპმიოლერმა „ჰამბურგში" პირველი მოგება იზეიმა.

„უნტერჰახინგი" მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდა, მაგრამ სტუმრებმა 21-წუთიან მონაკვეთში ოთხი გოლით უპასუხეს.

**გაჭა ხუციშვილი**

### ავსტრია

**მაქსბუნდესლიგა**
**XV ტური**

**ბრეგენცი 2:1 მატერსბურგი**
**კერნტენი 1:4 გრაცერი**
**ზალცბურგი 1:2 ადმირა**
**შტურმი 0:1 პაშინგი**
**ავსტრია 2:0 რაპიდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 15 | 10 | 2 | 3 | 28:19 | 32 |
| ავსტრია | 15 | 8 | 4 | 3 | 25:12 | 28 |
| გრაცერი | 15 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 |
| ბრეგენცი | 15 | 8 | 3 | 4 | 26:23 | 27 |
| პაშინგი | 15 | 6 | 3 | 6 | 22:23 | 21 |
| მატერსბურგი | 15 | 5 | 5 | 5 | 19:21 | 20 |
| ადმირა | 15 | 5 | 4 | 6 | 22:19 | 19 |
| შტურმი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:20 | 13 |
| კერნტენი | 15 | 2 | 5 | 8 | 13:31 | 11 |
| ზალცბურგი | 15 | 3 | 1 | 11 | 15:24 | 10 |

### შვეიცარია

**სუპერლიგა**
**XV ტური**

**ბაზელი 2:0 თუნი**
**სენტ გალენი 1:0 სერვეტი**
**ქსამაქსი 0:0 ვილი**
**იანგ ბოიზი 5:3 აარაუ**
**ციურიხი 0:2 გრასჰოპერი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 15 | 14 | 1 | 0 | 47:12 | 43 |
| იანგ ბოისი | 15 | 10 | 1 | 4 | 30:21 | 31 |
| სერვეტი | 15 | 8 | 4 | 3 | 31:24 | 28 |
| აარაუ | 15 | 5 | 5 | 5 | 25:26 | 20 |
| სენტ გალენი | 15 | 5 | 5 | 5 | 21:23 | 20 |
| გრასჰოპერი | 15 | 5 | 1 | 9 | 22:31 | 16 |
| ქსამაქსი | 15 | 4 | 3 | 8 | 18:24 | 15 |
| თუნი | 15 | 3 | 6 | 6 | 16:29 | 15 |
| ციურიხი | 15 | 3 | 2 | 10 | 20:25 | 11 |
| ვილი | 15 | 2 | 4 | 9 | 18:33 | 10 |

### დანია

**სუპერლიგა. XV ტური**

**ოლბორგი 0:1 კოპენჰაგენი**
**ბრონდბიუ 3:1 ფრემი**
**ესბიერგი 2:0 მიდტიულანდი**
**ნორდსიელანდი 1:1 ჰერფიოლგე**
**ორჰუსი 3:1 აკადემისკი**
**ოდენსე 4:2 ვიბორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 14 | 11 | 2 | 1 | 25:8 | 35 |
| ესბიერგი | 14 | 9 | 3 | 2 | 26:12 | 30 |
| ოდენსე | 14 | 8 | 4 | 2 | 33:18 | 28 |
| კოპენჰაგენი | 14 | 8 | 4 | 2 | 22:11 | 28 |
| ოლბორგი | 14 | 7 | 3 | 4 | 16:12 | 24 |
| მიდტიულანდი | 14 | 6 | 2 | 6 | 26:20 | 20 |
| ჰერფიოლგე | 14 | 4 | 4 | 6 | 14:16 | 16 |
| ორჰუსი | 14 | 5 | 1 | 8 | 22:33 | 16 |
| ვიბორგი | 14 | 3 | 4 | 7 | 26:27 | 13 |
| ნორდსიელანდი | 14 | 2 | 5 | 7 | 14:27 | 11 |
| ფრემი | 14 | 3 | 1 | 10 | 13:29 | 10 |
| აკადემისკი | 14 | 1 | 1 | 12 | 9:33 | 4 |



REUTERS

მარსელი — მონაკო. მასპინძელმა სილვენ ნდიაემ და სტუმარმა სებასტიენ კაროლემ ერთმანეთი ჩაბღუჯეს

# ბუტაბუტი პსჟ თასს გააბუტა

### საფრანგეთი

**ლიგის თასის 1/16 ფინალი**

**გენიონი 1:1დ.დ.(პენ.3:2, 1:1) პსჟ**
**ლე მანი 2:1 ისტრი**
**ბასტია 1:0 ტულუზი**
**ნიმი 1:2 ლილი**
**სოშო 3:2დ.დ.(2:2) ვალანსი**
**მარსელი 2:0 მონაკო**

საფრანგეთის ჩემპიონატის ორი ყოჩი, „მონაკო" და „მარსელი" წილისყრამ ლიგის თასზე ნაადრევად შეახვედრა. ორივე გუნდი ოქროსთვის იბრძვის და იმავდროულად ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. სამ ფრონტზე ბრძოლა კი იოლი არაა. ამიტომ დიდიე დეშანმა დათმობა ამჯობინა და „ველოდრომზე" მეორე შემადგენლობა ჩაიყვანა.

მასპინძლებს სუსტი მეტოქის დამარცხება არ გასჭირვებიათ. პირველივე ტაიმში ორი გოლი გაუტანეს. ფერნანდომ და, რა თქმა უნდა, დიდიე დროგბამ საქმე ექვს წუთში მოაკვარახჭინეს, შესვენების შემდეგ კი დრო უქმად გალიეს.

მეორედივიზიონელმა „ვალანსმა" სტუმრად „სოშო" გააწვალა. უგოლო პირველი ნახევარს უხვმოსავლიანი მეორე მოჰყვა. მასპინძლები ფლამეზმა დააწინაურა, მაგრამ შედლიმ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი და ანგარიში გათანაბრდა. ამით გალაღებულმა ვალანსიელებმა მეორეც გაიტანეს — 72-ე წუთზე ფაიოლმა მეორელიგელები გაახარა. სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. „სოშოს" პაგისმა უმალ გაქვითა და მატჩი დამატებით დროში გადაიყვანა, რომლის დასაწყისშივე დამხვდურთა ბრაზილიელმა სანტოსმა გამარჯვების გოლი შეაგდო.

„ლილი" „ნიმს" ეწვია და გუნდებმა პირველი ტაიმი უგოლოდ გალიეს. შესვენების შემდეგ სტუმრები მუსილუს წყალობით დაწინაურდნენ, მაკუნიმ კი 65-ე წუთზე მეორე მიამატა. ნიმელებმა შავერატის ზუსტი დარტყმით ერთი გოლი სწრაფადვე გაქვითეს, დარჩენილი დროც შეტევაში გაატარეს, მაგრამ ზემოდივიზიონელს ვერაფერი დააკლეს.

კორსიკული „ბასტია" ჩემპიონატშიც აღმასვლით თამაშობს და თავი თასზეც არ შეურცხვენია. თანალიგელ მაჩანჩალა „ტულუზს" პირველივე ნახევარში ბენ საადას გატანილი გოლით სძლია და მერვედფინალის კარი შეაღო.

გასაცოდავებულ „ლე მანს" სეზონის დასაწყისიდან ერთი გამარჯვება ენატრებოდა და ამ, მეორელიგელ „ისტრთან" შეძლო. მასპინძლებს ისე მოსწყურებოდათ მოგება, რომ კუსინმა ანგარიში მესამე წუთზევე გახსნა, მეოცეზე „ისტრი" პანკრატმა მეორედ დაამწუხრა და სტუმრებმა ჰამედას გოლით მხოლოდ ერთის გაქვითვა შეძლო.

ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩს სეზონში პირველი მწარე მარცხი „გენიონმა" აგემა. დამხვდურმა ბუტაბუტმა პირველ ტაიმში თავისები დააწინაურა, მაგრამ რეინალდომ შესვენების შემდეგ გაათანაბრა. მატჩი დამატებით დროში გადავიდა და უგოლოდ მიილია. პენალტების შესრულებაში ქვედადივიზიონელებმა დედაქალაქელებს აჯობეს და პარიზული გუნდის ქომაგები დაალონეს.

**გაჭა ხუციშვილი**

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რას გვერჩის ეს კაცი?!

## ინგლისი

**ლიგის თასის III ეტაპი**

*ასტონ ვილა* 1:0 ლესტერი
*ჩელსი* 4:2 ნოტსი
ნიუკასლი 1:2დ.დ.(1:1) *ვესტ ბრომვიჩი*
ნოტინგემი 2:4დ.დ.(2:2) *პორტსმუთი*
*ტოტენჰემი* 1:0დ.დ.(0:0) ვესტ ჰემი
ბლეკბერნი 3:4 *ლივერპული*
*ევერტონი* 1:0 ჩარლტონი
უიგანი 1:2 *მიდლსბრო*

ინგლისის თასის ოთხშაბათის მატჩებში ორი გამოსარჩევი რამ მოხდა. პირველი: „ნიუკასლ იუნაიტედი“ პირველდივიზიონელ „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“ დამარცხდა. მეორე: ბლექბერნელი ლუკას ნაილი „ლივერპულთან“ ისევ გააძევეს.

პირველი დივიზიონის ლიდერს „ნიუკასლის“ ძლევაში ნიუკასლელივე შოლა ამეობი წაეხმარა. მან ავტოგოლით გაახარა ვესტბრომვიჩელები და „კაჭკაჭებს“ გვარიანი ჯაფა დაადგათ, სანამ ლორენ რობერმა გათანაბრება შეძლო. ამ გოლმა „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“ შეკრებილთ შვებით ამოსუნთქვის საშუალება კი მისცა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ დამატებით დროში ისევ ამოეოხრათ — 101-ე წუთზე ლი ჰიუზმა სტუმრების გამარჯვებისა გაიტანა.

„ევუდ პარკზე“ კი უფრო გვარიანი ამბები დატრიალდა. როცა „ბლექბერნი“ და „ლივერპული“ წლეულს პრემიერლიგაში შეხვდნენ ერთმანეთს, იმ მატჩის მთავარი მოვლენა ბლექბერნელი ლუკას ნაილის მიერ ჯეიმი კარაგერის ფეხის მოტეხვა გახდა. მაშინ ნაილი, ცხადია, გააძევეს.

მაგრამ მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენო, ნაილის საქმეც ეგრე ყოფილა. „ლივერპულთან“ მორიგ შეხვედრაში სანამ მსაჯს თავი ისევ არ გააგდებინა, ვერ მოისვენა. მის გაძევებას პენალტი მოჰყვა, რომლითაც დენი მერფიმ ანგარიში 1:1 გახადა. დავძინოთ, რომ ნეილი ფლორენ სინამა-პონგოლეს წინააღმდეგ უკანასკნელი იმედის ჯარიმისთის დაისაჯა.

ამის მერე ემილ ჰესკის ჯერი დადგა, რომელმაც მასპინძლებს ორი გოლი გაუტანა და ორივე ელ-ჰაჯი დიუფის პასებით.

„ბლექბერნს“ მეოთხე ჰარი კიუელმა შეუგდო და მანაც სენეგალელის პასით.

ბოლოსკენ ბარი ფერგიუსონმა და დუაიტ იორკმა ორი ბურთი კი გაქვითეს, მაგრამ გვიანღა იყო.

ნამატჩევს ბლექბერნელთა მენეჯერმა გრემ სუნესმა დაიჩივლა, ნაილი ტყუილად გამიგდეს და ამ გაძევებამ მთლიანად შეცვალა მატჩის ხასიათიო.

**ირაკლი ნინიძე**





**პრემიერლიგის მატჩში ლუკას ნაილმა ჯეიმი კარაგერს მოტეხა ფეხი, გუშინწინ კი სინამა-პონგოლე არ დაინდო**

**1/8 ფინალის წილისყრა**

ასტონ ვილა — კრისტალ პალასი; რედინგი — ჩელსი; ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი; საუთჰემპტონი — პორტსმუთი; ლივერპული — ბოლტონი; ვესტ ბრომვიჩი — მანჩესტერ იუნაიტედი; არსენალი — ვულვერჰემპტონი; მიდლსბრო — ევერტონი

*მატჩები გაიმართება 1 დეკემბერს*



# ფეხმოტეხილი მშვენიერი მონსტრი

## ფაქინგ სტატია ლონდონურ სიყვარულზე

*გავაგრძელოთ „ჩელსიდან“ კოკაინის ყნოსვისთვის გაძევებული მეკარის, მარკ ბოსნიჩისა და მისი ნარკომანობის და ლოთობის მავნე ჩვევებთან მებრძოლი საყვარლის, სოფი ანდერტონის ბოლო ჩხუბის მიმოხილვა: ბოსნიჩმა განაცხადა, რომ შუა ჩხუბში მშვენიერ სოფის ქუჩაში შიშვლად გაგდებით ემუქრებოდა.*





**გუშინდელ** „სარბიელში“ მოგახსენეთ, რომ ბოსნიჩმა სოფის ფეხი დაუზიანა, პოლიციამ კი ბოსნიჩი დაიჭირა. მეკარეყოფილს სწორედ პოლიციაში განუცხადებია, რომ მისი ჩხუბი მხოლოდ პასუხი იყო ქალის შეტევაზე. თურმე ნუ იტყვით და, გამძვინვარებულ ქალს, 1 მილიონ დოლარად შეფასებული ბინის საძინებელ ოთახში მარკის ზურგსუკან ლამპა დაუთრევია და ვინ იცის, რით დასრულდებოდა ეს ყველაფერი, მეკარის ნაწრთობი რეაქცია რომ არა.

„საგიჟეთი იყო, თავს დამესხა, მე კი შევბოჭე და იატაკზე დავაზღერთე. ის დაზღერთებულიც დარტყმას ცდილობდა“ — ასე უთქვამს ბოსნიჩს, შემდეგ ქალის მხრები ჩაუბღუჯავს — პიკანტური დეტალი: სოფი შიშველი იყო — და ქუჩაში გაგდებით დამუქრებია. ამის შემდეგ სოფი ჩაცმას და „იქიდან წათრევას“ დაყაბულდა.

„რომ გავიდა, მისი ნივთები ჰოლში გავყარე. მან პოლიციაში დარეკა, ამასობაში სასწრაფოც მოვიდა და წაიყვანა“ — ცოტა გაუგებრად ამბობს მეკარე.

პოლიციელებმა დიდი ყურადღებით გაჩხრიკეს ყველაფერი რისი გაჩხრეკაც კი შეიძლებოდა და დაადგინეს, რომ ბოსნიჩს საყვარელთან ჩხუბში იარაღი არ გამოუყენებია. მეკარეყოფილი ნოტინგ ჰილის განყოფილებაში დაკითხეს და ღამის 2 საათისთვის თავდებით გაათავისუფლეს. ამის შემდეგ ვაჟმა ბინაში „სანის“ ჟურნალისტები დაპატიჟა და დანგრეული რაღაც-რაღაცეები დაათვალიერებინა...

„მინდა ყველამ სიმართლე იცოდეს“ — თქვა „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოდინდელმა მოთამაშემ და თავისი 18-თვიანი რომანის ისტორია მსოფლიოს გაანდო. მან მოჰყვა, რომ იგი და სოფი ორი თვის წინ დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ გასულ კვირას ქალმა დაურეკა და ღამის გასათევი სთხოვა — რაღაც უჭირდა. სოფის ბინაში შეშვება და მისი ხელმეორედ გიჟური შეყვარება ერთი გამოდგა.

ნუთუ წყვილს დაქორწინება არასდროს ჰქონია გეგმაში? ამ კითხვაზე ბოსნიჩს საიდანღაც გამოუღია ვიდეოკასეტა და მიპატიჟებულ ჟურნალისტთათვის უჩვენებია. ეს ყოფილა თავად მეკარის მიერ ერთი წლის წინ გადაღებული სტრიპტიზი, სადაც სოფი ვნებიანად შეყვარებული მზერით უცქერს კამერას და ამბობს ასეთ სიტყვებს:

„მე შენ მიყვარხარ, მინდა დარჩენილი ცხოვრება შენთან გავატარო. მინდა დავქორწინდეთ“. ამ სიტყვებზე იგი წითელ კაბას იხდის და ისე იწონებს თავს.

ბოსნიჩს ეს კასეტა ჟურნალისტებისთვის რამდენიმეჯერ დაუტრიალებია. შემდეგ კი უთქვამს, რომ სოფი მშვენიერი გოგოა, მაგრამ მას უკეთესებიც ჰყოლია.

და მაინც, რით დაიწყო ბოლო ჩხუბი? ვიდეოჩანაწერი კარგია, მაგრამ ჟურნალისტების მეკარესთან სტუმრობის მიზეზი ხომ სხვა იყო?

თურმე აი, რა ყოფილა: ბოსნიჩი სოფის ტანსაცმელს შეხებია, ქალს უეცრად, გაღიზიანებით უთქვამს, ჩემს „ფაქინგ“ ტანსაცმელს ხელი გაუშვიო. ამაზე მეკარეს უპასუხია, თუ ასე მოქცევას აპირებ „ფაქ აუთ“ აქედანო. პასუხს პასუხი მოჰყოლია, არსადაც არ წავალ, სანამ სეიფიდან რამდენიმე ათასს არ მომცემო. ამაზე ვაჟი გაგდებით დამუქრებია, ხოლო ქალს მიუგია, მიდი, სცადე და სამუდამო „ფაქს“ აგიტეხავო.

„ის ხომ ჩემს ბინაში იმიტომ ცხოვრობდა, რომ მთხოვა და შემეცოდა — ხელები გაშალა ბოსნიჩმა — ასეთი მოპყრობა რა, „ფაქის“ გამო დავიმსახურე?

სხვათა შორის, მეკარეს ჟურნალისტებისთვის უთქვამს, რომ სოფის ზაფხულის შემდეგ არ შეხებია — სექსზეა ლაპარაკი.

„მე ვუთხარი, რომ სამი კვირის მანძილზე შევხედავდი და თუ ვნახავდი, რომ გამოიცვალა, დავუბრუნდებოდი“. კიდევ, ბოსნიჩის თქმით, ნეშვილის კლინიკაში მკურნალობის თანხებს სოფის ის უხდიდა.

„სარეაბილიტაციო კლინიკაში 9 500 გირვანქა გადავუხადე, ის კი გამოვიდა და მესამე დღეს ნარკოტიკს ეტაკა. თუ არ ვცდები, კოკაინი იყო. წარმოიდგენიათ, როგორ გუნებაზე დავდგებოდი? ორშაბათს კი მოვიდა და მითხრა, რომ რომელიღაც წვეულებაზე ხუთი აბი ექსტაზი გადაყლაპა“.



**სოფი ანდერტონი მარკ ბოსნიჩს ერთ დროს თავს ასე აწონებდა**

ბოსნიჩმა, რომელიც, სხვათა შორის, სამურაის ხმალთა კოლექციას ინახავს, განაცხადა, რომ ქალმა 50 ათასი გირვანქა სთხოვა.

| 24.00 | 06.11 | რომა - ჰაიდუკი | | 24.00 | 06.11 | რომა - ჰაიდუკი | |
| 21.00 | 06.11 | სტიაუა - ლივერპული | | 21.00 | 06.11 | სტიაუა - ლივერპული | |
| 20.00 | 06.11 | სლავია - ლევსკი | | 20.00 | 06.11 | სლავია - ლევსკი | |
| 21.00 | 06.11 | შალკე - ბრონდბიუ | | 21.00 | 06.11 | შალკე - ბრონდბიუ | |
| 21.30 | 06.11 | ვალერენგა - ვისლა | | 21.30 | 06.11 | ვალერენგა - ვისლა | |
| 23.00 | 06.11 | პანიონისი - ბარსელონა | | 23.00 | 06.11 | პანიონისი - ბარსელონა | |

**III ეტაპი, VI ტური** — **III ეტაპი, VI ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 06.11 | სპარტაკი მოს - დინამო ბქ | | 20.00 | 06.11 | სპარტაკი მოს - დინამო ბქ | |
| 23.45 | 06.11 | პერუჯა - არისი | | 23.45 | 06.11 | პერუჯა - არისი | |
| 24.00 | 06.11 | რომა - ჰაიდუკი | | 24.00 | 06.11 | რომა - ჰაიდუკი | |
| 21.00 | 06.11 | სტიაუა - ლივერპული | | 21.00 | 06.11 | სტიაუა - ლივერპული | |
| 20.00 | 06.11 | სლავია - ლევსკი | | 20.00 | 06.11 | სლავია - ლევსკი | |
| 21.00 | 06.11 | შალკე - ბრონდბიუ | | 21.00 | 06.11 | შალკე - ბრონდბიუ | |
| 21.30 | 06.11 | ვალერენგა - ვისლა | | 21.30 | 06.11 | ვალერენგა - ვისლა | |
| 23.00 | 06.11 | პანიონისი - ბარსელონა | | 23.00 | 06.11 | პანიონისი - ბარსელონა | |

**III ეტაპი, VI ტური** — **III ეტაპი, VI ტური**

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 06.11 | სპარტაკი მოს - დინამო ბქ | | 20.00 | 06.11 | სპარტაკი მოს - დინამო ბქ | |
| 23.45 | 06.11 | პერუჯა - არისი | | 23.45 | 06.11 | პერუჯა - არისი | |
| 24.00 | 06.11 | რომა - ჰაიდუკი | | 24.00 | 06.11 | რომა - ჰაიდუკი | |
| 21.00 | 06.11 | სტიაუა - ლივერპული | | 21.00 | 06.11 | სტიაუა - ლივერპული | |
| 20.00 | 06.11 | სლავია - ლევსკი | | 20.00 | 06.11 | სლავია - ლევსკი | |
| 21.00 | 06.11 | შალკე - ბრონდბიუ | | 21.00 | 06.11 | შალკე - ბრონდბიუ | |
| 21.30 | 06.11 | ვალერენგა - ვისლა | | 21.30 | 06.11 | ვალერენგა - ვისლა | |
| 23.00 | 06.11 | პანიონისი - ბარსელონა | | 23.00 | 06.11 | პანიონისი - ბარსელონა | |

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 6 ნოემბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 6 ნოემბერს)

**საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი**

**ყურადღება მიაქციეთ მიმდინარე კვირის კალენდარს! იწყება მესამე ეტაპი. პირველი-მეექვსე ტური**

## კვირის კალენდარი

**27 ოქტომბერი** - გაზეთი „ახალი ვერსია", მესამე ეტაპის მე-3 ტური, სამი ვარიანტი, ჩემპიონთა ლიგა (4 ნოემბერი); მეორე ეტაპის მე-7 და მე-8 ტურის წინასწარი შედეგები, კონკურსის დებულება

**28 ოქტომბერი** - ჟურნალი „ულტრა", მესამე ეტაპის მე-4 ტური, სამი ვარიანტი, ჩემპიონთა ლიგა(5 ნოემბერი).

**28 ოქტომბერი** - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის პირველი ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ(1 ნოემბერი);

**29 ოქტომბერი** - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მე-5 ტური, სამი ვარიანტი, უეფას თასი(6 ნოემბერი); მეორე ეტაპის მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ(წინასწარი შედეგები).

**30 ოქტომბერი** - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მე-2 ტური, სამი ვარიანტი, ევროპის ქვეყნების სჩ(2 ნოემბერი); მეორე ეტაპის მე-9 და მე-10 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა ათი ტურის შემდეგ(წინასწარი შედეგები).

**31 ოქტომბერი** - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მე 6 ტური, სამი ვარიანტი, უეფას თასი(6 ნოემბერი);

**1 ნოემბერი** - გაზეთი „სარბიელი", მესამე ეტაპის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 ტური, ერთ ვარიანტად, ჩემპიონთა ლიგა(4-5 ნოემბერი) უეფას თასი(6 ნოემბერი); მომდევნო კვირის კალენდარი, კონკურსის დებულება.

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ.№37
2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8
3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4"
4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ
5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"
6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"
7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"
8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"
9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20
10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17
11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16
12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15
13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)
14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)
15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)
16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)

ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

# ლეონსიო კლოდს ფაქტებით მიაწვა

## ცაბაძის აზრით, ნაკრებს ახალი მწვრთნელი სჭირდება უცხოელი!

*სანამ ბორჯღალოსნები ურუგვაისთან წაგებულ მატჩს და მსოფლიოს თასის უსახელოდ დასრულების მიზეზებს გააანალიზებენ, მანამდე მათი ყოფილი ყოჩი და გამნევი ძალა ლევან ცაბაძე უკვე ღიად საუბრობს კლოდ სორელის ნაკრებიდან წასვლის აუცილებლობაზე. თვით ცაბაძეს მსოფლიოს თასზე თამაშის ოცნება ეგრეც ვერ აუხდა. მიზეზად მისი ტრავმა სახელდებოდა, თუმც მისი თქმით, არც ასე იყო საქმე. ერთი სიტყვით, გთავაზობთ ჩვენების მსოფლიოს თასზე გამოსვლის „ლეონსიოსეულ" შეფასებას და მანამდე დაფარულ, ახლა კი გაცხადებულ ამბებს*

**— ლევან, ჩვენების მატჩებს ნახავდი...**

— ცხადია, ყველა მატჩი ვნახე და ნერვები ისე მომეშალა, დასაკავებელი გავხდი. ყველანი ჩემი ძმები არიან, მაგრამ მომიტევონ და საშინლად ითამაშეს.

ეს სირცხვილი იყო. მე არ ვლაპარაკობ ინგლისთან და სამხრეთ აფრიკასთან მატჩებზე. მათ ჩვენზე ძლიერი და გამოცდილი გუნდიც ვერ დაუდგება. სამოასთან და ურუგვაისთან ჩავდებულ და საზიზღარ თამაშებს ვგულისხმობ.

**— შეეძლო საქართველოს სამოას და ურუგვაის დამარცხება?**

— სამოასი არა, მაგრამ მათთან არშერცხვენა შეიძლებოდა. ურუგვაის დამარცხება კი რეალურზე რეალური იყო. დარწმუნებული ვარ, საქართველო ათიდან ათ მატჩს მოუგებს ურუგვაის.

**— ახლა რატომ ვერ მოიგო?**

— კლოდ სორელის ენაზე გელაპარაკო, თუ ჩემი აზრი გაინტერესებს?

**— ცხადია, შენი აზრი მაინტერესებს.**

— მთავარი დამნაშავე სორელია. მაინცდამაინც გადამწყვეტ მატჩში დაიწყო ჯადოქრობა. ბოლო ოთხი წელია, ნაკრები ერთი შემადგენლობით თამაშობს და სორელმა მსოფლიოს თასზე მოინდომა „მომავლის გუნდის" ჩამოყალიბება. ინგლისიდან დაწყებული ურუგვაით დამთავრებული შემადგენლობა სულ იცვლებოდა. ამას საქართველო კი არა, ინგლისი და ავსტრალია არ აკეთებს. რა სორელი მათ მწვრთნელებზე ჭკვიანია? ესეც რომ არა, ნაკრებს არ აქვს კონკრეტული გეგმა და ტაქტიკა. სრული ქაოსია.

**— ესე იგი სორელი უნდა წავიდეს?**

— რა თქმა უნდა, სორელი უნდა წავიდეს. ნაკრებს უკვე მასზე გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტი სჭირდება. მე თუ მკითხავთ, სორელი უკვე შარშან უნდა წასულიყო. მაშინ, როცა ნაკრებს რეგრესი დაეწყო, მაგრამ გუნდის ვითომ გაახალგაზრდავებით მწვრთნელობა გაიხანგრძლივა. კი ბატონო, მის ხელში ნაკრებმა პროგრესი განიცადა, მაგრამ როცა უკუსვლა დაიწყო, კლოდი უნდა წასულიყო. ერთი სიტყვით, რაც გააკეთა, არავინ უკარგავს, მაგრამ...

**— სორელს იმიტომ ხომ არ აკრიტიკებ, რომ მასთან კონფლიქტი გაქვს. აქამდე ამას ორივე მალავდით...**

— ახლა უკვე დასამალი არაფერია. მასთან მართლაც მომივიდა კონფლიქტი, რომლის მიზეზებზე საუბარი არ მსურს. იმიტომ კი არა, რომ რაღაცას ვმალავ, უბრალოდ, ჩემი მხრიდან წაქცეული კაცის ჩაწიხლვა არაკაცური იქნება. აქ კონფლიქტი არაფერ შუაშია. სორელს თუ ნამუსი აქვს, უნდა წავიდეს. თუ არა და ბიძინა გეგიძემ უნდა გაუშვას.





**— მოდი სათქმელი პირდაპირ ვთქვათ. ამ კონფლიქტის ბრალი იყო შენი მსოფლიოს თასზე არწაყვანა?**

— კი, ამის ბრალი იყო. ტრავმა ბოლომდე მოშუშებული მქონდა. თამაშიც შემეძლო ჩემი კლუბის „მონფერანის" უფროსობამაც კი დაურეკა სორელს, ცაბაძე მზად არისო, მაგრამ კლოდმა უპასუხა, არ მჭირდებაო.

**— ვთქვათ, სორელი წავიდა. გადაიფიქრებ და დარჩები ნაკრებში?**

— არა, ნაკრებიდან წავედი. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა და ვერავინ შემაცვლევინებს. ბიჭებს მოედნის გარედან დავეხმარები. მსოფლიოს თასზე უსახელოდ გამოსვლა ყველაზე ნაკლებადაა მათი ბრალი.

მათ ახლა კლოდზე გამოცდილი მწვრთნელი სჭირდებათ, ისევ უცხოელი, რადგან საქართველოში ნაკრების დონის მწვრთნელი არ მეგულება.

**ბაჩო სვანიძე**

### „ლელოების" 1 ლელო და...

| მორაგბე | თ | ლ | გ | ს | ა | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალიკო ჯიმშელაძე | 4 | 0 | 1 | 6 | 1 | 23 |
| მერაბ კვირიკაშვილი | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | 12 |
| ვასილ კაცაძე | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| აქვსენტი გიორგაძე | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | [illegible] |
| ბესიკ ხამაშურიძე | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | [illegible] |
| ირაკლი მაჩხანელი | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოსო ნიკოლაენკო | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მალხაზ ურჯუკაშვილი | 3 | 0 | 0 | 2 | 0 | 6 |
| დავით დადუნაშვილი | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ირაკლი აბუსერიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| დავით ბოლღაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი ჩხაიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვიქტორ დიდებულიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი გიორგიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ალეკო მარგველაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ზურაბ მჭედლიშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გოდერძი შველიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გრეგუარ იაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ილია ზედგინიძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თედო ზიბზიბაძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გიორგი წიკლაური | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ირაკლი მოდებაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სერგო გუჯარაიძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არჩილ ქავთარაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბადრი ხეხელაშვილი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ავთო კოპალიანი | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გია ლაბაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ვანო ნადირაძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გოჩა ხონელიძე | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ოთარ ელოშვილი | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

*სულ: 4 მატჩი, 0 მოგება, 0 ფრე, 4 წაგება; 1 ლელო, 1 გარდასახვა, 12 საჯარიმო, 1 არეკნი, ბურთები 46:200; 2 ყვითელი ბარათი*

შენიშვნა: თ – თამაში, ლ – ლელო, გ – გარდასახვა, ს – საჯარიმო, ა – არეკნი, ქ – ქულა

# ვაი ვურენს და მის რეკორდს

**30 ოქტომბერი. ლონსტონი**

**რუმინეთი 37:7 ნამიბია**

**რუმინეთი**: ლლ: პეტრაჩი, სირბუ, ჩირიაკი, ტოდერაშკუ, სუანი; 3გ: ტოფანი; 2ს: ტოფანი

**ნამიბია**: 1ლ: ისააკი; 1გ: ვესელსი

ნამიბიამ ბოლო თამაშიც დიდი სხვაობით წააგო და ტურნირს ბურთების საშინელი სხვაობით 28:310 ემშვიდობება.

აფრიკელთა 10 ნომერი რუდი ვან ვურენი კი ისტორიაში იმით შევიდა, რომ სპორტის ორ სხვადასხვა სათამაშო სახეობაში მსოფლიოს თასზე უთამაშია.

ვურენს აქამდე მოკრიკეტეთა მსოფლიოს თასი აქვს ნათამაშები, რომელიც მისთვის და მისიანებისთვის კატასტროფულად დამთავრდა — ექვსი მატჩში, ექვსი მარცხი. ვაი რომ, ვურენისთვის სარაგბო თასიც არანაკლებ საშინლად დასრულდა. ისე კი ეს ამ თასზე ნამიბიელთა მეორე სამატიანე ამბავია. აფრიკელები იმითაც მოხვდნენ ისტორიაში, რომ ავსტრალიასთან 0:142 წააგეს, რაც მსოფლიოს თასებზე სარეკორდო მარცხია.

რუმინეთმა ბოლო მატჩი ითამაშა ფრანგი მწვრთნელის „პატარა ნაპოლეონად" წოდებული ბერნარ შარეირის მეთაურობით. შარეირს წინა და იმის წინა ტურებში ავსტრალიასთან 8:90 და არგენტინასთან 3:50 წაგება არ აპატიეს, თუმც მსოფლიოს თასი მაინც ჩაამთავრებინეს.

### A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 0 | 0 | +240 | 14 |
| ირლანდია | 3 | 0 | 0 | +86 | 14 |
| არგენტინა | 2 | 0 | 2 | +83 | 11 |
| რუმინეთი | 1 | 0 | 3 | -127 | 5 |
| ნამიბია | 0 | 0 | 4 | -282 | 0 |

**1 ნოემბერი. მელბურნი**

**ავსტრალია — ირლანდია**



REUTERS

ემილ ვესელსი და დანარჩენი ნამიბიელები რუმინელებს ვერ გადაახტნენ

### მსოფლიოს თასის მეძულეები

78 — ფედერიკ მიშალაკი (საფრანგეთი)
57 — მეტ როჯერსი (ავსტრალია)
51 — ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
50 — რიმა ვაკარუა (იტალია)
44 — ელტონ ფლეტლი (ავსტრალია), ერლ ვაა (სამოა)
43 — კრის პატერსონი (შოტლანდია)
42 — მაიკ ჰერკუსი (აშშ)
40 — დენიელ კარტერი (ახ. ზელანდია), ტორუ კურიჰარა (იაპონია)
35 — ნიკი ლითლი (ფიჯი)
34 — ლეონ მაკდონალდი (ახ. ზელანდია)
33 — გონსალო კესადა (არგენტინა)
30 — მაილს მულიაინა (ახ. ზელანდია)
28 — იესტინ ჰარისი (უელსი)
25 — კრის ლატამი (ავსტრალია)
23 — **პალიკო ჯიმშელაძე** (საქართველო), დევიდ ჰემფრიზი (ირლანდია), იონუც ტოფანი (რუმინეთი)

### მელელოვეები

6 — მილს მულიაინა (ახ. ზელანდია)
5 — კრის ლეთემი (ავსტრალია), მეტ როჯერსი (ავსტრალია)
4 — პაბლო ბოუსა (არგენტინა), მარტინ გაიტანი (არგენტინა); დაგ ჰაულეტი (ახ. ზელანდია); ქალებ რალფი (ახ. ზელანდია); ლოთე ტუკირი (ავსტრალია); მეტ ჟიტუ (ავსტრალია)
3 — ბაკიზ ბოთა (ს. აფრიკა); საიმონ დანიელი (შოტლანდია); კრისტოფ დომინისი (საფრანგეთი); უილ გრინვუდი (ინგლისი); დენის ჰიკი (ირლანდია); იანიკ ჟოზიონი (საფრანგეთი); ბრაიან ლიმა (სამოა); კრის პატერსონი (შოტლანდია); დენი როსოუ (ს. აფრიკა); კარლოს სპენსერი (ახ. ზელანდია); იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (ს. აფრიკა); მეტ ბერკი (ავსტრალია); ალან ქუინლანი (ირლანდია)

# ფული, აბა, რუსეთში იშოვება

## ზურაბ ზვიადაური მოსკოვში დიდებში გაერევა



*ხვალ მოსკოვში, ცირკის არენაზე 90 კილოგრამიანი და უფრო მძიმე მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები შეიკრიბებიან და „მოსკოვის გრან-პრის“ გამარჯვებულის ვინაობას გაარკვევენ. 100 ათას დოლარიანი ტურნირის დაახლოებით მეხუთედი გამარჯვებულს ერგება. ჯიბის გასქელების შანსი ორ ქართველს, ზურაბ ზვიადაურსა (90 კგ) და ივერი ჯიქურაულსაც (100 კგ) მიეცემათ. ზვიადაურმა შარშან თავის წონაში ჩემპიონობით რუსეთიდან 6 ათასი კი ჩამოიტანა, მაგრამ წლეულს იგივეს გაკეთება გაცილებით ძნელი იქნება. ორგანიზატორებმა დებულება შეცვალეს და პრიზს ამჯერად მხოლოდ აბსოლუტურ წონაში ათამაშებენ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ქართველი სარუსეთოდ გერმანიაში მოემზადა, საიდანაც რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა*

— გერმანულ ქალაქ აბენსბერგში, ამავე სახელწოდების კლუბში, ერთი თვე ვივარჯიშე და ორ შეჯიბრზეც ვიჭიდავე. ადგილობრივ საკლუბო ჩემპიონატში ყველა კლუბს ვძლიეთ და ჩემპიონობა მოვიპოვეთ, ხოლო ევროპაზე მხოლოდ ჰოლანდიურ გუნდთან წავაგეთ ფინალში და ისიც არაობიექტური მსაჯობის გამო.

**— გერმანელები მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ხომ არ დაგიკავშირდნენ?**

— ფაქტობრივად ასე მოხდა, თუმც ჩემი გადაყვანა მანამდეც სურდათ. დაუკავშირდნენ შოთა ხაბარელს და მასთან შეთანხმების შემდეგ აბენსბერგში აღმოვჩნდი. ეს პატარა ქალაქი გერმანული ძიუდოს ცენტრად ითვლება და იქაური კლუბიც მუდამ საუკეთესოთა შორისაა.

**— კონტრაქტი თუ გააფორმე და რამდენწლიანი?**

— წინასწარი კონტრაქტი ჩასვლისთანავე გავაფორმე, ხოლო ახალს ალბათ მოსკოვში მოვაწერ ხელს. გერმანელები რუსულ „გრან პრიზე“ აპირებენ ჩამოსვლას და ოფიციალურ საბუთებსაც იქვე გავაფორმებთ. თუმცა, უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონშიც იმავე კლუბის ღირსებას დავიცავ. სავარაუდოდ, აბენსბერგის გაზაფხულზე შევუერთდები.

**— შენ ერთადერთი ლეგიონერი იყავი აბენსბერგში, თუ სხვა ქვეყნებიდანაც ჰყავდათ?**

— ძირითადად კლუბი უცხოელებითაა დაკომპლექტებული და მის სიძლიერესაც ეს განაპირობებს.

**— გერმანულ ამბებს ამით შევეშვათ და მოახლოებულ მოსკოვის „გრან პრიზე“ ვისაუბროთ.**

— მასზე შარშანაც ვიჭიდავე და 90 კილოგრამში ჩემპიონიც გავხდი, რისთვისაც 6 ათასი დოლარით დამასაჩუქრეს. წლეულს კი პირველობა მხოლოდ აბსოლუტურ წონაში თამაშდება და საპრიზო ფონდიც გაცილებით მაღალია.

**— 90-კილოგრამიანი მოჭიდავისთვის აბსოლუტურ წონაში ჭიდაობა, თანაც მსოფლიოს უძლიერეს ფალავნებთან ცოტა ძნელია იქნება. წარმატების რამდენად რეალური შანსი გაქვს?**

— რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ მეორე დადებითი მხარეც აქვს. ჩემზე ბევრად მძიმე მოჭიდავეებთან საბრძოლველად გაორმაგებული ენერგიით გავალ. მათთან პაექრობაში მთელს სულსა და გულს ჩავაქსოვ. წარმატების მოპოვება ჩემი წონის კაცისთვის უდიდესი სახელი იქნება.

**— თუ გაქვს შერჩეული რაიმე განსაკუთრებული ტაქტიკა შენზე მძიმე მეტოქეებთან გასამკლავებლად?**

— ტაქტიკა, ცხადია, მაქვს, მაგრამ ამაზე მთავარი ჩემთვის საკუთარი ჭიდაობის ჩვენებაა. თუ ეს შევძელი, წარმატების შანსიც მეტი მექნება. მძიმე მოწინააღმდეგესთან ახლოს ჭიდაობას უნდა მოვერიდო. ვეცდები, ერთი-ორი წრე დავარტყა, დავღალო და შემდეგ დავამარცხო.

**— როგორი იქნება ტურნირის ჩატარების სისტემა?**

— „გრან პრიზე“ ოლიმპიური სისტემა მოქმედებს, წყვილებს კი კომპიუტერი შეარჩევს. როგორც ვიცი, პირველ მოგებაზე ათასი დოლარია დაწესებული, მეორეზე ორი ათასი, მესამე წრის გადალახვაზე ხუთი ათასი, ხოლო ჩემპიონი 20 ათასს მოიგებს.

**— მოსკოვის „გრან პრი“ ერთადერთია, რომელიც მოჭიდავისთვის ფინანსურად მომგებიანია, თუ სხვაგანაც ტარდება ანალოგიური ტურნირები?**

— საერთოდ ეს იშვიათი შემთხვევაა, თუმც შარშან რუსეთის შემდეგ ანალოგიურ ტურნირზე ბუქარესტშიც ვიჭიდავე და 10 ათასი დოლარი მოვიგე.

**— შენი აზრით, ასეთ შეჯიბრებებზე გამოსვლა მოჭიდავისთვის დამატებითი სტიმულია თუ ზედმეტი ტვირთი?**

— ჩვენს დაქცეულ ქვეყანაში ეს მშვენიერ შანსად შეიძლება ჩაითვალოს. მთავარია, ზედმეტად არ გადაიღალო, თორემ დატვირთვას კი უნდა გაუძლო.

**— ამ დღეებში რუსული „სპორტ-ექსპრესისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იქაურმა მძიმეწონოსანმა ალექსანდრ მიხაილინმა განაცხადა — „გრან პრის“ სამი უმთავრესი ფავორიტი ჰყავს, ჰოლანდიელი ვან დერ გესტი, ესტონელი პერტელსონი და მეო. თუ ეთანხმები?**

— პირველ ორ კანდიდატზე, რა თქმა უნდა, ვეთანხმები. ვან დერ გესტი და პერტელსონი რეალური ფავორიტები არიან. ესტონელი ჩემი თანაგუნდელია გერმანულ კლუბში და მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ადგილზე გავიდა. ხოლო რაც შეეხება მიხაილინს, მისი ჩემპიონობისა ნაკლებად მჯერა. ეგ რომ ძლიერი ყოფილიყო, იაპონიაში რამეს გააკეთებდა.

**— ფავორიტობის ამ სამ კანდიდატს რუსმა ჟურნალისტებმა 90 კილოში მოასპარეზე ბელარუსი სერგეი კუხარენკოც დაუმატეს, მის ჭიდაობაზე რას იტყვი?**

— საკმაოდ უხერხული მეტოქეა, თუმცა პირადად მე ორჯერ შევხვდი და ორივეჯერ დავამარცხე. ერთხელ ევროპის გუნდურ პირველობაზე, ხოლო მეორედ შარშან, იაპონიაში.

**— ცოტა სამომავლო გეგმებზეც გვითხარი. მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ჩვეული ტემპით განაგრძობ ვარჯიშს?**

— დეკემბრის დასაწყისში ინგლისში ევროპის გუნდური ჩემპიონატი ტარდება და მისთვის მოვემზადები. იქედან დაბრუნებული კი ალბათ ცოტას და-ვისვენებ.

**— ერთადერთი ქართველი ძიუდოსტი ხარ, ვისაც ოლიმპიური ლიცენზია დაბევებული აქვს. მომავალ სალიცენზიო ტურნირებში თუ აპირებ გამოსვლას?**

— ყველაგან არა, მაგრამ რამდენიმე ასეთ შეჯიბრზე მაინც წავალ, ფორმიდან რომ არ ამოვვარდე. თებერვალში კი აუცილებლად ვიჭიდავებ თბილისის ტურნირში.

**— ბოლოს ქართულ ჭიდაობაზეც გკითხავთ. მოსკოვის ტურნირი საქართველოს აბსოლუტურ ფალავნობას დაემთხვა. რომ არა ეს ფაქტი, სპორტის სასახლეში თუ იჭიდავებდი?**

— სპორტის სასახლეში კი არა, ქართული ჭიდაობისთვის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ჩავიდოდი. იგი განსაკუთრებით მიყვარს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჯერად უჩემოდ ჩაივლის.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

2003 წლის 2 დეკემბერს გაიმართება სსჟა-ს საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია. დღის წესრიგი: 1. სსჟა-ს აღმასკომის ანგარიში; 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3. სახელობითი პრემიის მინიჭება; 4. სხვადასხვა; 5. არჩევნები.

სსჟა-ს წესდების თანახმად, ასოციაციის ხელმძღვანელ ორგანოებში არჩევის მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ აღმასკომს კონფერენციამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე. ასევე გთხოვთ, 20 ნოემბრამდე წარმოადგინოთ საკონკურსო მასალები ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად.

*დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99 08 22, 99 94 09*






# ქართული ხელი ყატარს დაბომბავს

## ტიტე კალანდაძე ხელბურთით გრილდება

*დღევანდელი თაობის ქართველ ხელბურთელთაგან ყველაზე ტიტულიანი, 30 წლის ტიტე კალანდაძე, რომელსაც საქართველოს გარდა იტალიის, მაკედონიისა და თურქეთის ჩემპიონობაც აქვს მოპოვებული, 2003-2004 წლების სეზონს სპარსეთის ყურეში გაატარებს. ტიტე ამჟამად ყატარშია და ამ ნახევარკუნძულოვანი ქვეყნის პირველობაში ხელფეხის გასაშლელად ემზადება. ტიტეს გუშინ ყატარის დედაქალაქ დოჰას სასტუმროში დავურეკეთ*

**— როგორც ვიცი, კარიერის გაგრძელებას რომელიმე ევროპულ გუნდში აპირებდი, ყატარში კი აღმოჩნდი...**

— მართლაც იყო ერთი-ორი ვარიანტი, მაგრამ სწორედ იმ დროს ჩემმა მენეჯერმა გაიგო, რომ დოჰას „ალ რაიან სპორტკლუბი“ თავდამსხმელს ეძებდა და გუნდის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა. იმათაც მაშინვე გასინჯვაზე დამიძახეს და უკვე ათი დღეა, ყატარში ვარ.

**— დიდხანს გსინჯავდნენ?**

— არა. მიუხედავად იმისა, რომ მგზავრობისგან ძალიან დაღლილი და თითქმის მთელი ღამის უძინარი ვიყავი, სულ რამდენიმე წუთით ბურთთან წაკარებაც საკმარისი იყო და იქვე გავაფორმეთ კონტრაქტი.

**— რამდენი ხნით?**

— კონტრაქტი ერთსეზონიანია, ივლისის ბოლომდე. აქაური ჩემპიონატი იანვარში დასრულდება, მერე კი გაზაფხულ-ზაფხულში აზიის თასზე დ კიდევ რამდენიმე შეჯიბრში მოგვიწევს გამოსვლა.

**— ყატარის ჩემპიონატი რა სისტემით ტარდება?**

— ათი გუნდი ორწრიან ტურნირს მართავს და ჩემპიონიც ვლინდება. სადღეისოდ ხუთი ტურია ჩატარებული. „ალ რაიანმა“ ოთხი თამაში მოიგო, ერთხელ დამარცხდა და სატურნირო ცხრილში მეორე-მესამე ადგილზეა.

**— შენ უკვე მოასწარი თამაში?**

— არა, ჯერ მხოლოდ ვვარჯიშობ. დღეს-ხვალ ლიცენზიას მივიღებ და მერე მომეცემა თამაშის უფლება. ალბათ მომავალ კვირას გავალ პირველად მოედანზე. ამჟამად ჩემი ყოველდღიური მარშრუტია სასტუმრო-დარბაზი. გარეთ ცხვირის გაყოფის სურვილიც არ მაქვს, ისე ცხელა — იწვის ქალაქი, ტემპერატურა 35 გრადუსზე მეტია.

**— გუნდში სხვა უცხოელიცაა?**

— ერთი იუგოსლაველი იყო, მაგრამ კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა. აქ ისეთი წესია, რომ ყოველ გუნდს მხოლოდ ორი ლეგიონერის ყოლის უფლება აქვს, თანაც თამაშისას მოედანზე მხოლოდ ერთი მათგანი უნდა იყოს. ისე, მთავარი მწვრთნელიც უცხოელია — 55 წლის ხორვატი დრაგან მაიჩი.

**— კლუბის ხელმძღვანელობა როგორ შეგხვდა?**

— ძალიან თბილად, ყველაფერი რიგზეა. მაგრამ ახლა აქ რელიგიური დღესასწაულია და ნებისმიერ საკითხზე მაგრად უნდა შეაწუხო, თორემ ძალიან ნელა ირჯებიან.

**— სასტუმროში რამდენ ხანს დარჩები?**

— ათიოდ დღეში ცოლ-შვილი ჩამომივა და მერე ბინაზე გადავალ. კლუბმა უკვე შემირჩია ორსართულიანი სახლი, მანქანასაც მომცემენ და ყველაფერს, რაც ოჯახისთვისაა საჭირო. მხოლოდ ბენზინის და ტელეფონის საფასური მექნება გადასახდელი. მოკლედ, პირობებით სავსებით კმაყოფილი ვარ და ახლა ჯერი ჩემზეა. მთავარია, დროზე დავიწყო თამაში.

**გია ახალაძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკა ცქიტიშვილმა სეზონი 6 ქულით დაიწყო

# ცქიტიშვილი სენსაციას დაესწრო
## ფაჩულიამ მედისონ სკვერში შეიარა

ორლანდო: ლუ (11), იონსენი (3), მაკგრეიდი (26), გუდენი (16), ჰოვარდი (9); გირიჩეკი (7), ჰარვი (6), უილიამსი (3), დეკლერკი (4), გეინესი, ჰანტერი

*ზაზა ფაჩულია სათადარიგო იყო*

### დენვერი 80:72 სან ანტონიო

დენვერი: მილერი (16), ლენარდი (7), ენტონი (12), ილარიო (12), კემბი (3 ქულა, 20 მოხსნა), ბოიკინსი (13), ბერი (8), ანდერსენი (2), ელსონი (1), ცქიტიშვილი (10 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება), ბოუენი

სან ანტონიო: კარტერი, ჯინობილი (14), ბოუენი, დანკანი (17), ნესტეროვიჩი (2), მესრერი (14), თურქოღლუ (15), როუზი (5), ჰორი (5), ვილისი

გუშინწინ სეზონი ქართველებისთვისაც დაიწყო, თუმც მთავარი ამბავი, ორლანდოელი ზაზა ფაჩულიას დებიუტი, არ შედგა. მოედანზე დენვერელი ნიკა ცქიტიშვილი და პორტლენდელი ვლადიმერ სტეფანია გავიდნენ. „ქართულმა“ გუნდებმა გულიანად ითამაშეს და „პორტლენდს“ გადამწყვეტ მომენტში რომ არ ჩაეთვლიმა, სამივე იმარჯვებდა.

დავიწყოთ ნიკა ცქიტიშვილის „დენვერით“, რომელმაც ახალდაწყებული რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე ხმაურიანი სენსაცია გამოაცხო — ჩემპიონი „სან ანტონიო“ დაამარცხა. დასავლელი ბობოლას ძლევაში თავისი წილი დაიდო ქართველმა ფორვარდმაც, რომელსაც მოსალოდნელზე ადრე მოუშუშდა ორი კვირის წინ ნატკენი თითი და გუშინწინ ნატრავმალის კვალობაზე ხეირიანადაც ითამაშა.

დენვერელთა მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა თავის დაზღვევის მიზნით ჩვენებური ნაკლებად დატვირთა, 10 წუთი ათამაშა და ნიკამაც თავი არ შეირცხვინა, 6 ქულა, 2 მოხსნა, ამდენივე პასი და ერთი დაფარებაც მიითვალა.

მაგრამ ცხადია, ცქიტიშვილის ქულები დენვერელ ქომაგს გუშინწინ ნაკლებად აინტერესებდა, შარშანდელ სეზონის გახსნის მატჩთან შედარებით, როცა ქართველის დებიუტი შედგა. ახლა „პეპსი სენთერს“ ინტერესის ახალი სუბიექტი ჰყავს, დრაფტის მე-3 არჩევანი კარმელო ენტონი, რომელიც დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად გახდება დენვერელთა კერპი.

„როცა ხალხი გვიყურებს, მათ პირველი რიგში აინტერესებთ, მოვიგებთ თუ არა კონკრეტულ მატჩს და არა ის, თუ რამდენი ქულა ჩავაგდე — თქვა მატჩის შემდეგ ენტონიმ, რომელმაც დებიუტის კვალობაზე არც ცოტა და არც ბევრი — 12 ქულა მოიხვეჭა — მე არ მანაღვლებს, 24 ქულას ჩავაგდებ თუ ოთხს, მთავარია, გავიმარჯვოთ.“

„დენვერი“ შარშან წინა ხაზს ამაგრებდა, გამალებით ცდილობდა, ნენე ილარიოსა და ნიკა ცქიტიშვილისგან ყოჩაღი მეფარეები გამოეთალა, მაგრამ საქმე ისე შებრუნდა, რომ ახლა „დენვერის“ მთავარ დამრტყმელ ძალად დაბლები ითვლებიან და მასპინძლებმაც ეს მატჩი ძირითადად უკანახაზელთა შეუპოვრობით მოიგეს. შეხვედრაში სხვებზე მეტი მოაგროვეს გამთამაშებლებმა ანდრე მილერმა და ერლ ბოიკინსმა.

„დენვერის“ ცენტრი მარკუს კემბი ქულებს ვერ აკეთებდა, მაგრამ ლიგის საუკეთესო მოთამაშეს ტიმ დანკანს გასაქანს არ აძლევდა და მესამე მეოთხედში ცქიტიშვილის გუნდმა 17-ქულიანი უპირატესობა რომ მოიპოვა, თამაშის ბოლომდე აღარ გაუფლანგავს.

„პორტლენდში“ კი ვლადიმერ სტეფანიას არცთუ საზეიმო დებიუტი შედგა. ვოვას თულფვი არასდროს ყოფილა ქულების კეთება, ის უფრო დაცვითა და ფარზე მუშაობითაა ცნობილი. სტეფანიას „იუტასთან“ მატჩში არც ქულა გაუკეთებია და ფარზეც ვერ გაბატონდა ჩვეულად. ქართველი 16 წუთი იყო მოედანზე და 5 მოხსნასთან ერთად კინკილა პასი მიითვალა.

„პორტლენდმა“ კი თითქმის მოგებული თამაში წააგო. ორეგონელები მთელი მატჩის განმავლობაში ამარცხებდნენ „ჯაზმენებს“, მაგრამ კარგად დაწყებული საქმეს ბოლომდე ველარ მიიყვანეს. „იუტამ“ უკანასკნელი 17 წლის განმავლობაში გუშინწინ პირველად დაიწყო თამაში კარლ მელოუნისა და ჯონ სტოქტონის გარეშე, მაგრამ პუერტორიკოელმა კარლოს აროიომ იოლად გასწია სტოქტონობა. მეორეწლიანმა ჭაბუკმა მეორედ ითამაშა იუტელთა სასტარტოში და 18 ქულასთან ერთად 13 პასი მიითვალა, რითაც მძლავრი „პორტლენდის“ დამარცხებაში ლომის წილი დაიდო.

და ზაზა ფაჩულია, რომელიც „ნიუ იორკთან“ თამაშში ბოლომდე სათადარიგო იყო და ამაოდ ელოდა დებიუტს. „ორლანდომ“ კი ჯადო-მატჩში დაამარცხა „ნიქსი“. ფლორიდელებმა ძირითადი დროის ბოლო ორი წუთი 10:0 მოიგეს, თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს და იქ ტრეისი მაკგრეიდისა და დრიუ გუდენის მეოხებით პირველი გამარჯვება ჩაიწერეს.

**ირაკლი პერტაია**

— 29 ოქტომბერი —

### იუტა 99:92 პორტლენდი

იუტა: აროიო (18), სტივენსონი (6), კირილენკო (16), ჰარპრინგი (14), ოსტერტაგი (6); ბელი (16), პავლოვიჩი (14), კოლინზი (5), ჰანდლოტენი (4), ლოპესი

პორტლენდი: სტუდემაიერი (16), ველსი (6), რანდოლფი (22), ვოლესი (21), დევისი (4); მაკინისი (19), პატერსონი (4), სტეფანია (16 წუთი, 5 მოხსნა, 1 პასი), მიურეი

### ნიუ იორკი 83:85 ორლანდო

ძირითადი დრო 73:73

ნიუ იორკი: ჰიუსტონი (10), ვორდი (7), ტომასი (10), ვან ჰორნი (29), მუტომბო (7); ანდერსონი (4), ეისლი (8), უილიამსი (2), სვიტნი

### საკრამენტო 106:92 კლივლენდი

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (22), ბიბი (19)

კლივლენდი: ჯეიმსი (25 ქულა, 6 მოხსნა, 9 პასი, 4 ჩაჭრა)

### ნიუ ორლეანი 88:83 ატლანტა

ძირითადი დრო 75:75

ნიუ ორლეანი: არმსტრონგი (18), ვესლი (16), დევისი (15 ქულა, 10 პასი)

ატლანტა: ჯეკსონი (21), ტერი (15), გლოვერი (14)

### ტორონტო 90:87 ნიუ ჯერსი

ტორონტო: კარტერი (39), დევისი (12)

ნიუ ჯერსი: მარტინი (26)

# გუშინ ჯორდანი დაბადებულა
## ლებრონ ჯეიმსის ვააუ!დებიუტი

### დეტროიტი 87:89 ინდიანა

დეტროიტი: ოქური (17), უოლესი (16 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება, 6 ჩაჭრა)

ინდიანა: ონილი (22), არტესტი (21), მილერი (14)

### გოლდენ სტეიტი 87:95 დალასი

გოლდენ სტეიტი: რობინსონი (18 ქულა, 12 მოხსნა), დამპიე (14 ქულა, 17 მოხსნა)

დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 15 მოხსნა), უოლკერი (20 ქულა, 14 მოხსნა)

### ბოსტონი 98:75 მაიამი

ბოსტონი: პირსი (23), უილიამსი (15), ბეიკერი (15)

მაიამი: ჯონსი (22)

### მინესოტა 95:89 მილუოკი

მინესოტა: გარნეტი (25 ქულა, 21 მოხსნა, 6 პასი)

მილუოკი: მეისონი (16), რედი (16)

### ჩიკაგო 74:99 ვაშინგტონი

ჩიკაგო: როუზი (15)

ვაშინგტონი: ჰიუზი (20)




REUTERS

ლებრონ ჯეიმსს ფულის შოვნის გარდა კალათბურთის თამაშიც შესძლებია

გუშინწინ დრაფტის პირველი რჩეულის, გენიოსად მონათლული და უკვე ასი მილიონის მშოვნელი ლებრონ ჯეიმსის დებიუტი შედგა. თინეიჯერი ვარსკვლავის მყოლი „კლივლენდ კავალიერზი“ დასავლელ ბობოლა „საკრამენტოს“ შეხვდა და, რა თქმა უნდა, დამარცხდა.

თამაშის შედეგის მიუხედავადაც კლივლენდელები და მათი ქომაგებიც კმაყოფილნი იყვნენ, თუმცა სიტყვა კმაყოფილება ოდნავაც არ გამოხატავს მათ განწყობას — ისინი უფრო გადარეულებს ჰგავდნენ. მაჩანჩალებს ბედნიერი მომავლის მოახლოება ახარებთ, რომელიც „ახალ ჯორდანში“, ფენომენური ლებრონ ჯეიმსის ფენომენურ დებიუტში დაინახეს. ამერიკულმა პრესამ პირი მოალო, ისტორიაში იძრომიალა, ნაირგვარი ვარსკვლავის მაგალითი მოიყვანა, მაგრამ ჯეიმსისდარი დებიუტის ავტორს ვერაფრით მიაკვლია და ახალგამომცხვარ „ჯორდანს“ ათასი სახოტბო სიტყვა უძღვნა.

მაინც რა გააკეთა ასეთი ლებრონმა? დაახლოებით ის, რასაც, ვთქვათ, ტრეისი მაკგრეიდი თითქმის ყოველ თამაშში ახერხებს. ჯეიმსმა 43 წუთი გაატარა მოედანზე და 25 ქულა, 6 მოხსნა, 9 პასი და 4 ჩაჭრა მოქაფა. დასაწყისისთვის მართლაც შთამბეჭდავი მონაგარია და თუ იმ ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, რომ ასეთი დებიუტის გამჩარხავ თინეიჯერს უთუოდ ძალუძს დახვეწა-განვითარება, მაშინ მისგან ეგებ მართლაც გამოდნეს ჯორდანი, რასაც ასე დაჟინებით მოელის სრულიად საკალათბურთო ამერიკა.

ლებრონის დახმარებით „კლივლენდმა“ სამი მეოთხედი კუდში სდია ბობოქარ „საკრამენტოს“, მაგრამ კალიბრით გაცილებით ძლიერი მეტოქის დამარცხების ძალა ბოლომდე ვერ მიჰყვა.

საინტერესო ჯახი შედგა დეტროიტში, სადაც „პისტონზი“ თანადივიზიონელ „ინდიანას“ შეხვდა. მატჩის მთავარი ინტრიგა იყო მწვრთნელთა ჯახი, უფრო კი ინდიანელთა დამრიგებლის უდიდესი სურვილი, დაემარცხებინა მეტოქე.

რიკ კარლაილი კარგი სპეციალისტია და შარშან „დეტროიტში“ მუშაობისას მხოლოდ წარმატება მოუტანა ავტოქალაქელებს, მაგრამ იმათ არ დაუფასეს და გუნდიდან დაითხოვეს. დეტროიტელები დახარბდნენ „ფილადელფიიდან“ წამოსულ დიდების დარბაზის წევრს ლარი ბრაუნს, კარლაილმა კი თავის ძველ გუნდს „ინდიანაში“ შეაფარა თავი, და აი, თითქოს ბედის ირონიაო, სეზონის პირველივე მატჩში ყოფილ გუნდთან მოუხდა შეტაკება. შეეტაკა და თავის სიმართლეც დაამტკიცა. არა, ის როდი უთხრა დეტროიტელებს, ბრაუნს ვჯობივარო, უბრალოდ, გული მოიოხრა და ყოფილ უფროსებს მიანიშნა, დათხოვნას არ ვიმსახურებდიო.



REUTERS

ვინს კარტერი: მე დავბრუნდი!

ცივ კანადაში კი გაუხარიათ. ბოლო წლებში ტრავმებით გატანჯული ვინს კარტერი ჯანზე მოსულა და ტორონტოელთა პირველივე მეტოქეს, წლევანდელ ფინალისტ „ნიუ ჯერსის“ ფინთი ამბავი შეამთხვია. ასევე ნატრავმალი ალონზო მურნინგით გაძლიერებული „ბადეები“ ბარე მთელი თამაში ამარცხებდნენ მასპინძელ „დინოზავრებს“, მაგრამ „მფრინავ დინოზავრს“ ვერაფერი მოუხერხეს. კარტერმა შედარებით მოკრძალებული პირველი მეოთხედის შემდეგ ერთობ მოიწადინა, არაფრად ჩააგდო „ბადეთა“ ლიდერი ჯეისონ კიდი და საბოლოოდ ფიცხელ ენდშპილში გაამარჯვებინა „ტორონტოს“.

**ირაკლი პერტაია**



*ეს ახდენილი ოცნებაა, ანუ ნბა სრული დიდების ზენიტშია. ამ საკალათბურთო მონსტრის საცეცები მთელ მსოფლიოში გაშლილა და ოკეანისგაღმური ბურთაობის ჯადობადეში ახალ-ახალი „მსხვერპლნი" სიხარულით ებმებიან. ამერიკული კალათბურთის პატრიარქს, ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს ესპანური „მარკას" ჟურნალისტები გაესაუბრნენ*

# ევროპა შტერნის ჯადობადეში

## ევროამერიკული ნბა 6–7 წლის მერე?

— ამბობენ, რომ დიდი კალათბურთის კულუარებში ნბა-ს გაფართოება-ექსპანსიაზე მუშაობენ. თან ამ ექსპანსიის სავარაუდო მიზანმაც გაიჟღერა — ევროპული ტიტულიანი კლუბები...

— ჯერ ჩვენი ჩემპიონატის ექსპანსია „შარლოტ ბობქეთსის" ნბა-ში მოსვლით ამოიწურება. 2004-05 წლების სეზონში ეს გუნდი ჩვენს ლიგაში იასპარეზებს. რაც შეეხება ევროპისკენ სავარაუდო ნაბიჯს... ამ ეტაპზე ხსენებული პროექტის განსახორციელებლად ბევრი დაბრკოლება არსებობს — ახალ არენათა მშენებლობა, სხვადასხვა ფინანსური სიძნელეები... უკეთესი იქნება, შიდარეგიონალურ საქმეებზე ვიზრუნოთ — ევროპაში უფრო აქტიური სეზონთაშორისი საქმიანობა გავაჩაღოთ ანუ ფიბა-ს კლუბებთან უფრო ხშირად უნდა გავმართოთ შეხვედრები. ორი დიდი საკალათბურთო სამყაროს ერთმანეთთან დაახლოებაა საჭირო, თუმცა მცირე დროში ეს ნამდვილად ვერ მოხერხდება.

**— ევრო-ამერიკული ლიგის ჩამოყალიბების შესაძლო თარიღს ხომ ვერ დაგვიზუსტებდით?**

— ვიმეორებ, რომ ასე ადვილად ეს საქმე არ განხორციელდება. უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრა მოგვიწევს, მათი დასახელება ძალიან შორს წაგვიყვანს. საწყის პოზიციაზეც რომ დავდგეთ, ალბათ 6-7 წელი მაინც დაგვჭირდება.

**— თუ შეიძლება ნბა-ს ორმა გუნდმა საჩვენებელი თამაში ევროპაშიც ჩაატაროს, ისევე, როგორც ამას წინათ იაპონიაში მოხდა?**

— ამერიკის გარდა მსგავსი შეხვედრების მოწყობა მარტო იაპონიაშია შესაძლებელი. ნბა-ს მატჩის ჩატარება ფანტასტიკურ თანხად ჯდება და სხვა საკალათბურთო ბაზარს ასეთი მატჩის მიღება არ ძალუძს.

**— კობი ბრაიანტის საქმე ნბა-ს რეგულარულ ჩემპიონატზე დიდ გავლენას მოახდენს?**

— გადამწყვეტს და მნიშვნელოვანს არა, მაგრამ თავისებურ დაღს მაინც დააჩნევს. კობი ხომ ჩვენს ლიგაში თამაშობს. ცუდია, რომ ასეთი რამ შეემთხვა.

**— მაიკლ ჯორდანის სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებაზეც საუბრობენ...**

— ამ საკითხისადმი ოპტიმისტური დამოკიდებულება მაქვს, განვლილ სეზონში მაიკლმა „ვაშინგტონი" აზეირა და ახლაც დიდია შანსი მისი ნბა-ში დარჩენისა. ჯორდანისგან ლიგამ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს.



REUTERS

—— 30 ოქტომბერი. საიტამა ——

**სიეტლი 109:100 კლიპერსი**

ეს მატჩი იაპონიაში, საიტამაში გაიმართა. „სიეტლმა" და „კლიპერსმა" სწორედ იაპონიაში დაიწყეს სეზონი და იქ კიდევ ერთ მატჩს გამართავენ. ფოტოზე კი ერთმანეთს ბურთს ეცილებიან სიეტლელი ვლადიმირ რადმანოვიჩი და კლიპერსელი ელტონ ბრენდი.



# გაიმარჯვა ჩოგბურთმა. გუგამ სკადს სამიზნე აურია

**პარიზის მასტერსი**

ხალიჩა საპრიზო 2,45 მილიონი ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (3, შვეიცარია) — ტიერი ასიონი (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:1; გილერმო კორია (4, არგენტინა) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 6:3, 3:6, 6:3; რაინერ შუტლერი (5, გერმანია) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 4:6, 6:2, 6:3; ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) — სებასტიან გროჟანი (7, საფრანგეთი) 3:6, 6:4, 7:5; გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — მარკ ფილიპუსისი (9, ავსტრალია) 6:7 (7:5), 7:6 (13:11), 7:6 (7:1); გრეგორი კარა (საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (11, ჰოლანდია) 6:4, 2:6, 6:3; მარტინ ფერკერკი (13, ჰოლანდია) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 7:6 (7:4), 6:4; ირჟი ნოვაკი (14, ჩეხეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:0; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 7:5, 7:6 (8:6); იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4, 6:1**



REUTERS

გუსტავო კუერტენმა სკადის ყუმბარებს გაუძლო და ახმახი ოზი იქით ჩაჩოგნა

დღის უდრამატულესი შეხვედრა გუსტავო კუერტენისა და მარკ ფილიპუსისის სამტაიბრეიკიანი დავლური გახლდათ. ამ მატჩში ერთმანეთს სინატიფე და ჯანი ერკინებოდა — ჩოგბურთისდა სასიხარულოდ გამარჯვება პირველს ერგო.

ავსტრალიელმა სკადმა როლანგაროსის სამგზის ჩემპიონს ჯამში 31 ეისი გადაუჭირა, მაგრამ მოწოდების სიზუსტე სწორედ მაშინ დაუცდა, როცა ეს ყველაზე საჭირო იყო — მეორე სეტის ტაიბრეიკზე, სადაც მას მოგებისგან მხოლოდ ერთი ქულაღა აშორებდა. ამ მომენტში ფილიპუსისმა ძალიან მოინდომა და... მატჩბურთი ორმაგი შეცდომით გაფლანგა. იმავე აიდოსტისას მას კიდევ ოთხი მატჩბურთი მიეცა, მაგრამ დახვეწილმა ტროპიკელმა ოთხივე აუღელვებლად მოიგერია — 13:11.

პირველი ორის დარად მესამე სეტმაც გადამწყვეტ გეიმს უწია და ავსტრალიელმა თავისი პირველივე მოწოდება აქაც ორმაგი შეცდომით წაიმურდლა. მერე კი უეცრად ფრთები ჩამოჰყარა და გუგას შვიდი უპასუხო ბურთი ჩააგდებინა.

ამ მარცხით ჩემპიონთა რბოლის მეცხრე ადგილზე მყოფ სკადს საბოლოოდ მოესწრაფა ჰიუსტონურ მასტერთასზე წასვლის იმედი. წინა უქმეებზე სანკტ პეტერბურგში ნაჩემპიონარი ბრაზილიელისთვის კი ეს უკვე ზედიზედ მეექვსე მოგებული მატჩი გახლდათ, ხოლო მეშვიდის მოგებას ის მომდევნო წრეში ბრიტანელ ტიმ ჰენმანთან ეცდება. ჰენმანმა თავის მხრივ ძალზედ მუშპარა, მოაწოდე-მიეძალე ყაიდით ნაჩოგნავებ მატჩში სძლია მასპინძელთა მთავარიმედ სებასტიან გროჟანს.

გროჟანმა, ვინაც რბოლაში ფილიპუსისის უკან იდგა და მასსავით ინარჩუნებდა წლის დამაგვირგვინებელ რვაკაცა პირველობაზე მოხვედრის მცირე შანსებს, ჰენმანთან ბრძოლა აგრესიულად და დამაჯერებლად დაიწყო. მატჩის მსვლელობა არც მეორე სეტში შეცვლილა, მაგრამ გროჟანი მსაჯის ორმა, მისი აზრით უსამართლო გადაწყვეტილებამ მოშალა და სეტი ჰენმანს დარჩა. გადამწყვეტ ხელში კუნძულელმა შესამჩნევად გაღიზიანებულ ფრანგს მუდამი დაუჭირა და ბლომად მიაქარვინა, ხოლო სეტის მიწურულს სულაც გალმა გაედავა და გამარჯვების გეიმიც წაჰგლიჯა.

ფილიპუსისისა და გროჟანის გავარდნის მერე რბოლაში მერვე ადგილზე მდგარ დავიდ ნალბანდიანს უკანასკნელი საჰიუსტონო ადგილისთვის მოცილედ მხოლოდ მეათეზე მყოფი პარადორნ შრიჩაფანილა დაურჩა. თუმცა საამსაქმოდ ტაილანდელს აუცილებლად ტურნირის მოგება სჭირდება, რაიც — იქ მოგროვილი ზეპური ჭაბუკობის შემხედვარე - ჰაი-ჰაი, რომ განუხორციელებელი ამბავი უნდა გახლდეთ.

თავად დავიდმა კი კორტზე გასვლა, წინა კვირას გილერმო კორიასთან გასამართი ბაზელური ფინალისა არ იყოს, კვლავაც მაჯის ტრავმის გამო იუარა. მის ნაცვლად იონას ბიორკმანს მეტოქედ ნიკოლას ლაპენტი შეხვდა და შვედმაც იოლად გაისერნა.

თავად კორიამ სამი სეტი მოანდომა ნიჭიერ ესპანელ ფელისიანო ლოპესს, რომელსაც აქამდე შვიდჯერ შეხვედრია და ექვსჯერ გაულახავს. წლეულს უკვე ხუთი ტიტულის მომნაგრავი გაუჩო თავის მეორე საამსეზონო მასტერსტიტულს დაეძებს — პირველი მან გაზაფხულზე ჰამბურგში იშოვა.

უსახელო ფრანგ ასიონთან მსუბუქად გაივარჯიშა ტურნირზე რანგით მესამე ჩოგნის მჭნეველმა როჯერ ფედერერმა. როჯერს ზურგის ტრავმა აწუხებს და მისი ქომაგები შიშობენ, რომ ეს ამბავი მას რეიტინგსიებში ფერეროსა და როდიკთან მიახლოებას დაუშლის.

სხვაფრივ — ძირითად ტურნირზე კვალიფიკაციებიდან მოხვედრილი გრეგორი კარა შეიქნა ერთადერთი ფრანგი, ვინაც მესამე წრეში გააღწია.

**ლევან ძელაურაძე**



NHL

**რეგულარული ჩემპიონატი**

# კატები ყოფილან

## პანტერებს შაიბებიც მოხვდათ და მუშტებიც

—— 29 ოქტომბერი ——

**ფილადელფია 5:1 ფლორიდა**

*2:0 2:1 1:0*

**1:0 პიტკანენი (7), 2:0 უილიამსი (10), 2:1 კოზლოვი (27), 3:1 რენიკი (29), 4:1 ჰანდზუში (30), 5:1 ლეკლერი (56)**

„ფილადელფიამ" ახალი კვირა გამარჯვებებით დაიწყო. მას შემდეგ რაც გუნდში ტრავმამოშუშებული ჯონ ლეკლერი დაბრუნდა, „მფრინავებმა" მეტოქეები აბუჩად აიგდეს — „მონრეალის" 5:0 ძლევას „ფლორიდის" განადგურება მოჰყვა, ლეკლერმა კი ორივე მატჩში გოლები მიითვალა. ანგარიში კიდევ უფრო დამაჯერებელიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბოლო მესამედში მასპინძლებმა მეტოქე დაინდეს და „პანტერებს" გოლების ნაცვლად მუშტები დააყარეს. განსაკუთრებით ტოდ ფედორუკმა მოიწადინა. დონალდ ბრაშირის არყოფნაში მთავარ პოლიციელად ქცეული ფედორუკი საბრალო პაველ ტრანკას ეცა და მსაჯთა ჩარევამლა იხსნა ჩხუბში ნაკლებად დახელოვნებული ფლორიდელი. ამის შემდეგ (ეს ყველაფერი ბოლო წუთებზე მოხდა) სტუმართა მთავარ მეომარ დარსი ჰორდიჩუკს ერთი სული ჰქონდა, შური ეძია, მაგრამ ფლორიდელთა თავკაცმა მაიკ კინენმა განზრახ არ გაუშვა ყინულზე.

**ვაშინგტონი 2:4 ანაჰაიმი**

*1:1 0:1 1:2*

0:1 ფიოდოროვი (2), 1:1 ბიატი (8), 1:2 ფიოდოროვი (36), 1:3 კროგი (45), 1:4 რუჩანი (48), 2:4 ზუბრუსი (57)

**დეტროიტი 5:6 სენტ ლუისი**

*1:3 3:2 1:1*

0:1 ტკაჩუკი (6), 1:1 დაციუკი (12), 1:2 უეიტი (13), 1:3 უეიტი (20), 2:3 აიზერმანი (23), 2:4 შეინა (25), 3:4 დევერი (27), 4:4 დრეიპერი (37), 4:5 შეინა (38), 4:6 უეიტი (43), 5:6 ჰალი (59)

**პიტსბურგი 4:4 აილენდერსი**

*1:2 2:0 1:2 0:0*

0:1 ბეიტსი (9), 0:2 იაშინი (18), 1:2 ტარნსტრიომი (20), 2:2 სტრაკა (21), 3:2 მელოუნი (24), 4:2 ისტვუდი (43), 4:3 ბლეიკი (49), 4:4 ჩერკავსკი (52)

**დალსი 4:3 კალგარი**

*1:1 0:1 2:0 1:0*

0:1 იგინლა (8), 1:1 გერინი (15), 1:2 საპრიკინი (22), 1:3 კობასიუ (27), 2:3 გერინი (56), 3:3 გერინი (52), 4:3 არნოტი (61)

# გაუგისმქნეველნი

ასე აქნევდნენ თავიანთ ბარაქიან გავებს ურუგვაისა და საქართველოს მორაგბეთა სამსოფლიოთასო შეხვედრის წინ ცხიმსავსე ურუგვაელი მდედრები. ამბობენ — მატჩის მერე არა მარტო გავებს აქნევდნენო. დაეძრახებოდათ, რო?!



REUTERS სიდნეიდან

# ჯასტინი დიასითურთ

ჯასტინ ტიმბერლეიკი ადრე ბრიტნი სპირსს რომ ჰყვარობდა, ეგ ლამის „ზეპელინზე" გაწირულმა ხალხმაც გაიგოდით. ახლა კი ეს ისე-რა პოპ-მოყმე ჰოლივუდელ დიაც კამერონ დიასთან სექსაობს და მასთან ერთად რაგბისარა მონტშიც იხითება. იმ დღეს თურმე „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და „დალას მავერიკსის" საენბიერ მატჩზეც ყოფილან.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

# მელბურნულ პეროვზე

ავსტრალიაში მობულრავე ირლანდიელთა სარაგბო ნაკრებს მრავალი მათიანი ქომაგი ახლავს. თუხ მათგანს, რომელთა სახელების ჩამოთვლაც არაფერს მოგვცემს, მელბურნში იქაურ პეროვზე გაუვლიათ და ერთ-ერთ აირიშპაბში სულ გინესში ჩაყიდულები უსვამთ.



REUTERS მელბურნიდან




REUTERS სიდნეიდან

# სულ კაი ამბავში ეხმაროს

თავისი ახალი საცვლები გამოუფენია სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონსა და მრავალგზის მსოფლიოს რეკორდოსან მოცურავე იან ტორპს. სულ კაი ამბავში ეხმაროს!



REUTERS ბერლინიდან

# ბირგიტს შნიჩბოდ არ შდგმბა

დიად გერმანელ მეკანოე ქალს, შვიდგზის ოლიმპიურ და 27-გზის მსოფლიო ჩემპიონ ბირგიტ ფიშერს, ვინაც დიდი სპორტიდან ორი წლის წინ ანუ 39 წლისა წავიდა, უნიჩბოდ გული კვლავ არ უდგება. ჰოდა, რაკილა ჯერაც ქორფა სხეული ისევ ერჩის, ამ დღეებში საჯაროდ განაცხადა, რომ გაისად ათენის ოლიმპიადაზეც მოუსვამს. ეს ფოტო კი ბერლინის ერთ-ერთ ლუდხანაშია გადაღებული, სადაც ბირგიტის საპატივცემლოდ დახლისთვის სწორედ კანოეს ფორმა მიუციათ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გოთ ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ჩკანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე ველუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge